

შოთა ძაღსიძე

ქართული ტომობრივი  
ბუნების იდეა  
უმჯობესებისათვის

აღუჭნანდსი  
ზაზანაშვილი

1964 წელს შესრულდა გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ხახანაშვილის ლაბორატორიების ასი წელი.

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ეს თარიღი დიდი სიყვარულით აღნიშნა.

ეს წიგნი საიუბილეო თარიღისათვის მომზადდა და მიზნად ისახავს მკითხველთა ფართო წრეებს გააცნოს გამოჩენილი ქართველოლოგის ცხოვრება, მოღვაწეობა და მეცნიერული შემოქმედების ძირითადი მომენტები.



ალ. ხახანაშვილი

## პირველი ნაბიჯები

ხახანაშვილები განეკუთვნებიან ქართლის ძველ საგვარეულოთა რიცხვს.

ხახანაშვილები გლეხები ყოფილან.

ჯერ კიდევ 1684 წელს ფარსადან ფანაჯურტელ-ციციშვილს ერთაწმინდის წმ. ესტატეს სალოცავისათვის უმაჟლოდ შეუწირავს თავისი ყმის ხახანაშვილების ოჯახი.

მომდევნო ხანებში ხახანაშვილებს შეუძენიათ 50 დღიური მიწა, ვენახი და წისქვილი.

გავიდა დრო.

ხახანაშვილების რამდენიმე თაობა გადაშენდა.

მე-18 საუკუნეში ამ საგვარეულოს მისაკუთრება თავისი ქონებითურთ მოიწადინეს ერთაწმინდის მფლობელმა თავადებმა -- თარხნიშვილებმა.

ამ უკანასკნელთა სურვილი კანონიერი არ იყო, რადგანაც ხახანაშვილები წმ. ესტატეს ყმებად ითვლებოდნენ და ქონებაც ნასყიდობით ჰქონდათ შეძენილი; ამდენად ხახანაშვილებისეულ ქონებაზე არავის მიუწვდებოდა ხელი.

მაგრამ ხახანაშვილების მამულის გამო მაინც ატყდა დავა; რომელიც 20 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ამ დროის განმავლობაში სასამართლო წესით ხახანაშვილებმა რამდენჯერმე მოიგეს საქმე და ერეკლე მეორისაგანაც მიიღეს ბრძანება, რომ ისინი თავისუფალნი არიან თარხნიშვილების ბატონობისაგან. მაგრამ საქართველოში, სადაც სამეფო ხელისუფლების ძალაც კი ველარას აწყობდა ურჩი ფეოდალების თვითნებობასთან, თარხნიშვილებმა თავისი გაიტანეს და ხახანაშვილები ყმებად აქციეს.

მე-19 საუკუნის დამდეგისათვის მძვინვარე ჰქირმა ერთაწმინდელი ხახანაშვილები თითქმის გადაშენების პირზე მიიყვანა. გადარჩა მხოლოდ ამ საგვარეულოს რამდენიმე წევრი.

ოპოზიციის კახეთს შეაფარეს თავი და აქვე დარჩნენ. ხახანაშვილები მაინც არ წყვეტდნენ კავშირს ქართლთან: ისინი ყოველწლიურად სალოცავად ერთაწმინდაში დადიოდნენ.

კამოჩენილი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ხახანაშვილი წარმოადგენელი იყო ქართლში მოსახლე ხახანაშვილების ერთ-ერთი შტოსი, რომელიც აღრიდანვე გორში დასახლებულ იქნა და უკვე მე-19 საუკუნისათვის აქ მკვიდრად დაედო ბანა.

ალექსანდრე ხახანაშვილი დაიბადა 1864 წლის 3 იანვარს. გორში, მღვდლის. სოლომონ ქრისტეფორეს ძის (1814 — 1878) ოჯახში.

სოლომონ ხახანაშვილს დამთავრებული ჰქონდა ტფილისის სასულიერო სემინარია. შემდეგ იგი მსახურობდა გორის სამხარო სასწავლებელში. სადაც ასწავლიდა ბერძნულსა და რუსულ ენებს. 1841 წლიდან კი სოლომონი დაინიშნა დეკანოზად გორის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

სოლომონ ხახანაშვილის პორტრეტი შესანიშნავად აღწერა ცნობილმა ქართველმა მწერალმა სოფრომ მგალობლიშვილმა: „მამა ალექსანდრესი (ე. ი. სოლომონი შ. ბ.) ერთობ წარმოადგენდა და ბრვე ვაჟაკი იყო, სიმაღლით თითქმის სამ ადრს უდრიდა და ამასთანავე შეზავებული იყო შესაფერი სისქით და ფართე გულმკერდით; იყო შავგვრემანი, შავი წვერ-ულვაშით შემკული, გაბადრული სახით და ფართე რგვალი შუბლით, იყო უებრო, ენით გამოუთქმელი მკითხველი საეკლესიო წიგნებისა: სახარებისა და სხვათა ტკბილი მგალობელი; როცა მორიგედ იყო სობოროში, დადგებოდა საწიგნობელთან და თვით კითხულობდა და გალობდა. როცა ის თავისი მშვენიერი მაღალ-ბანით მართავდა გალობასა, ბაზრიდან ჩამოცვინდებოდა ხალხი, ქუჩაში მიმავალნი შებრუნდებოდნენ ტაძარში; რომ მოესმინათ სოლომონ დეკანოზის ნარნარი ხმა და კილო გალობისა. დეკანოზი სოლომონი ამასთან თავის დროის შინედავით ძალიან განვითარებული კაცი იყო, განსაკუთრებით ქართულში; მის სახლში მოიპოვებოდა აგრეთვე მაშინდელი ქართული ჟურნალები. თვითონაც წერდა განსაკუთრებით შიარის ნაირს ლექსებსა, უცბად ექსპრომტად ეტყოდა კაცს ლექსს.

ამასთან იყო შესანიშნავი ოხუნჯი, სიტყვაწყლიანი, ნაკვესით მოლხპარაკე. ამიტომ ძალიან მიღებული და საყვარელი კაცი იყო არა მარტო გორში, არამედ მთელს მაზრაშიაც. სადაც კი ის დაესწრებოდა, ქვასაც კი ღიმილს მოჰკვერიდა მისი ხუმრობა. ზმობა ნაკვესის სროლა, ანდაზები და სხვ. და სხვ.“

ალექსანდრე ხახანაშვილის დედა, ანა ღვთისავარის ასული, ნებალაძეანთ ქალი იყო. მას ყველა იცნობდა, როგორც სათნო და სილამაზით განთქმულ მანდილოსანს.

სულ პატარა იყო ალექსანდრე ხახანაშვილი, დედა რომ გარდაეცვალა. საყვარელი ადამიანის ნადრევმა სიკვდილმა ღრმა კვალი დააჩნია ალექსანდრეს ხასიათს.

დედის შემდეგ ალექსანდრე ხახანაშვილს მამაც გარდაეცვალა. მალე მას მიჰყვნენ ალექსანდრეს უფროსი ძმა ვანო, ნოვოროსიის (ამჟამად ოდესის) უნივერსიტეტის დიდად ნიჭიერი სტუდენტი, და უფროსი და — მარიამი.

დაობლებული ალექსანდრე ხახანაშვილი ნათესავების ამა-რა დაარჩა.

ალექსანდრე ხახანაშვილმა თავდაპირველი განათლება გორის საქალაქო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ თბილისში გადმოვიდა და თავისი ნათესავის, სიონის საყდრის მღვდელ-მსახურის გრიგოლ მღებრიშვილის ოჯახში მოეწყო საცხოვრებლად. აქ იგი სწავლას აგრძელებს თბილისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში.

ალექსანდრე დინჯი და თავშეკავებული ყმაწვილი იყო. სწავლაში განსაკუთრებული სიბეჯითითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

ალექსანდრე ხახანაშვილის მოწაფეობის წლები დაემთხვა ჩვენი სამშობლოს ისტორიის ჟამიძემს პერიოდს. ეს ის დრო იყო, როცა ცარიზმის შოვინისტური რეჟიმში, სრული ამოძირკვის მიზნით, განსაკუთრებული სიმხეცით უტევდა პატარა ერებისა და მათ შორის საქართველოს თვითმყოფობასა თუ ულტურას.

ჟერ ისევ გიმნაზიის მესამე კლასში იყო ალექსანდრე ხახა-

ნაშვილი, როდესაც ერთ-ერთ თავის ამხანაგს არიგებდა: „თუ არ ვიბეჯითეთ ან კარგად არ ვისწავლეთ, უექველად დაგვჩაგრავენ და არ დაგვინდობენ, რაკი ქართველები ვართო“.

გიმნაზიაში ალექსანდრე ხახანაშვილს განსაკუთრებით იზიდავდა ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია და უცხოური ენები. ამ დარგების შესასწავლად იგი ღამეებს ათევდა. გადმოგვცემენ, რომ ახლობლები გამუდმებით ეუბნებოდნენ: „თავი გაანებე ამდენ კითხვას და ცოტა დაისვენე“. მაგრამ მათი „საყვედურები“ ცარიელ სიტყვებად რჩებოდა, იგი დაუღალავად მეცადინეობდა.

გიმნაზიაშივე ჩამოყალიბდა ალექსანდრე ხახანაშვილის მსოფლმხედველობა და ინტერესები. მას განსაკუთრებით იზიდავდა საქართველოს ისტორია და ძველი მწერლობა. ალექსანდრე ხახანაშვილმა უკვე მაშინვე იცოდა, რომ ამ დარგში მუშაობდნენ გამოჩენილი მკვლევარები: მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვ. ალექსანდრე უდიდესი პატივისცემით იყო განმსჭვალული ამ მკვლევართა მიმართ. ამიტომაც მტკიცედ გადაწყვიტა თვითონაც ისტორიკოსი ვა-მოსულიყო.

1883 წელს ალექსანდრე ხახანაშვილმა წარჩინებით, ოქროს მედალზე დაასრულა გიმნაზიის კურსი. ამავე წელს იგი ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც მოღვაწეობდნენ მე-19 საუკუნის რუსული მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ო. კლიუჩევსკი, რომელიც კითხულობდა საყოველთაოდ ცნობილ ლექციებს — რუსეთის ისტორიის ვრცელ კურსს. ხშირად ვ. ო. კლიუჩევსკის მოსასმენად სხვა ფაკულტეტებიდანაც მოდიოდა ახალგაზრდობა, ისე რომ, უმეტეს წილად. აუდიტორიებში თავისუფალი ადგილი არ იყო ხოლმე.

შემდეგში ვ. ო. კლიუჩევსკის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე აღიზარდა რუსეთის ისტორიკოსთა რამდენიმე თაობა.

აღსანიშნავია, რომ ვ. ო. კლიუჩევსკის ისტორიულმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონიეს ალექსანდრე ხახანაშვილის

მეცნიერულ შეხედულებებზე, რაც კარგად გამოჩნდა ქართველი მკვლევარის პირველთავე ნაშრომებში.

მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის პროფესორებს შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ცნობილ ისტორიკოსს ვ. ი. გერიეს. იგი თავისი დროისათვის მსოფლიო ისტორიის აღიარებულ სპეციალისტად ითვლებოდა და მრავალრიცხოვანი ნაშრომების ავტორი იყო.

მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა დიდი რუსი სოციოლოგი, იურისტი და ისტორიკოსი პროფესორი მაქსიმე კოვალევსკი, რომელმაც თავისი ნაშრომებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სოციოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში. ასეთ ნაშრომთა რიცხვს განეკუთვნებოდა მისი განთქმული მონოგრაფია — „კანონი და ჩვეულება კავკასიაში“, სადაც განხილული იყო კავკასიისა და საქართველოს მთავანი ზოლის მოსახლეთა სოციალური წყობის საკითხები.

ცნობილია, რომ მაქსიმე კოვალევსკი კარლ მარქსის დიდი მეგობარი იყო და ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აფასებდა რუსი კოლეგის მეცნიერულ შემოქმედებას.

მოსკოვის უნივერსიტეტის სახელოვანმა ტრადიციებმა და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მეცნიერულმა ატმოსფერომ დიდი აღმზრდელობითი გავლენა იქონია ახალგაზრდა ალექსანდრეზე.

დაძაბულ შრომაში შეუმჩნევლად მიიპარებოდა დრო...

1887 წელს ალექსანდრე ხახანაშვილმა პედაგოგთა საბჭოს წარუდგინა სადიპლომო ნაშრომი: „ბიზანტიის სახელმწიფო და ბერძნული ეკლესია კომუნების ეპოქაში“.

ახალგაზრდა ისტორიკოსის გამოკვლევამ პროფესორ ვ. გერიეს ყურადღება მიიპყრო. ნაშრომმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და ავტორმაც იმავე 1887 წელს კანდიდატის ხარისხით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი.



## მეცნიერების დიდ გზაზე

უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილ ყმაწვილკაცს განსაკუთრებით იზიდავდა მეცნიერული კვლევა-ძიება. ამასთანავე დიდ შემოქმედებით ენერჯიასთან ერთად ალექსანდრე ხახანაშვილს თავიდანვე გააჩნდა სიყვარული და მიდრეკილება ენებისადმი. ასე რომ, უნივერსიტეტის დამთავრებისას ალექსანდრე ხახანაშვილი უკვე ბრწყინვალედ ფლობდა არა მარტო ქართულსა და რუსულს, არამედ კარგად იცოდა: ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ბერძნული და ლათინური და თავისუფლად შეეძლო ლიტერატურის გამოყენება ამ ენებზე. ყოველივე ეს ალექსანდრე ხახანაშვილს რთული მეცნიერული საკითხების კვლევის დიდ შესაძლებლობას უქმნიდა.

უნივერსიტეტის დამთავრების დროისათვის ალექსანდრე ხახანაშვილმა სადიპლომო გამოკვლევის გარდა დაწერა მეორე ნაშრომიც — „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“. შემდეგში ალექსანდრემ ეს გამოკვლევა გამოაქვეყნა კიდეც. ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ამ ნაშრომს, ავლნიშნავთ კი მხოლოდ, რომ ეს იყო მეტად ჭაყურადღებო მეცნიერული ნარკვევი, რომელიც შეუწევს ინტერესს იწვევდა სპეციალისტთა წრეში.

ახალგაზრდა მკვლევარის პირველივე წარმატება სასიამოვნო მოვლენად დაურჩათ იმ პირებს, ვინც სერიოზულად იყვნენ დაინტერესებული ქართული მეცნიერული აზროვნების წინსვლით. განსაკუთრებული მეგობრული სიხარულით შეხვდა ამ ამბავს ქართველი მეცნიერი და საზოგადოე მოღვაწე ილია ოქრომჭედლიშვილი (1838—1898). ამ ხანებისათვის ილია ოქრომჭედლიშვილს ეკავა ქართული ენის კათედრის პროფესორის თანამდებობა მოსკოვის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში.

აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი დაარსდა 1814 წელს კერძო სასწავლებლის სახით. მისი დამაარსებელი იყო ლაზარიანცების სიმდიდრით განთქმული ოჯახი.

თავდაპირველად კულტურის ეს კერა იწოდებოდა „ლაზა-

რეანთ აღმოსავლური ენების სომხურ ინსტიტუტად“. შემდეგში კი გადაიქცა აღმოსავლეთმცოდნეობის მძლავრ კერად, სადაც სომეხთა წარსულის კვლევა-ძიების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა დანარჩენი აღმოსავლური ენების, მათ შორის, ქართულის შესწავლას<sup>1</sup>.

ლაზარეანთ ინსტიტუტში ქართული ენის შესწავლას თვალსაჩინო ამაგი დასდო ილია ოქრომჭედლიშვილმა.

მან 1868 წელს კანდიდატის ხარისხით ბრწყინვალედ დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი და აქვე უნივერსიტეტში დაწერა სადისერტაციო თემა: „თემურ-ლენგვის ლაშქრობა საქართველოში“

დაამთავრა თუ არა უმაღლესი სასწავლებელი, იმავე წელსვე ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერის დავით ჩუბინაშვილის ზელმეწყობით ილია ოქრომჭედლიშვილმა მუშაობა დაიწყო მოსკოვის ლაზარეანთ ინსტიტუტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართული ენის უფროს მასწავლებლად. შემდეგში იგი დაინიშნა ჯერ დოცენტის, მერე კი პროფესორის თანამდებობაზე. ილია ოქრომჭედლიშვილმა, როგორც მზურვალე პატრიოტმა, თავისი სასარგებლო მოღვაწეობის მანძილზე არა ერთი და ორი ნაშრომი გამოაქვეყნა ძველი ქართული ენისა თუ მწერლობის საკითხებზე.

ილია ოქრომჭედლიშვილი დაინტერესდა ალექსანდრე ხახანაშვილის წარმატებით და მოინდომა, შესაფერისი დახმარება აღმოეჩინა ახალგაზრდა მკვლევარისათვის.

1888 წელს ილია ოქრომჭედლიშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა თავი დაენებებინა პედაგოგიური საქმიანობისათვის და სამშობლოში დაბრუნებულიყო. და აი, როცა იგი გაეცნო ალექსანდრე ხახანაშვილს, გადაწყვიტა, თავის შემცვლელად დაეტოვებინა ქართული ენის კათედრაზე.

---

<sup>1</sup> რსფსრ სახკომსაბჭოს 1919 წლის 4 მარტის დეკრეტით, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი, ლაზარეანთ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის მაგიერ დაარსდა სომხური ინსტიტუტი; სულ მალე იგი გადაკეთდა წინა აზიის ინსტიტუტად, 1920 წლიდან კი — აღმოსავლეთის ცოცხალი ენების ცენტრალურ ინსტიტუტად. 1921 წლიდან მის ბაზაზე არსებობს უკვე მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

1888 წელს ილია ოქრომჭედლიშვილის წინადადებით ალექსანდრე ხახანაშვილი მიიწვიეს აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე. ამ დროიდან მოყოლებული ალექსანდრე ხახანაშვილი ამ ინსტიტუტში განაგებდა ქართული ენის კათედრას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის შემდეგ ლაზარეანთ ინსტიტუტი იყო ერთადერთი ცენტრი, სადაც მეცნიერულად ისწავლებოდა ქართული ენა და მწერლობა.

1889 წლიდან ლაზარეანთ ინსტიტუტში ალექსანდრე ხახანაშვილი. ასწავლიდა ქართული ენის გრამატიკას. მსმენელებს იგი აცნობდა ქართული მწერლობის ნიმუშებს და მათთან ერთად არჩევდა ქართული ლიტერატურის ძეგლებს: „ამირან-დარეჯანიანს“, „ვეფხისტყაოსანს“. „ვისრამიანს“, „ქილილა და დამანას“, და სხვ. ამასთანავე მიმოიხილავდა საქართველოს ისტორიის წყაროებს და მეცნიერულად არჩევდა „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილებს. ლაზარეანთ ინსტიტუტშივე ალექსანდრე ხახანაშვილმა დაიწყო ქართული სიტყვიერების ისტორიის მიმოხილვითი ლექციების კითხვა. შემდეგში სწორედ ეს ლექციები დაედო საფუძვლად ალექსანდრე ხახანაშვილის უზარმაზარ ნაშრომს „ნაკვეთები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“.

მუშაობისაგან თავისუფალ დროს ალექსანდრე ხახანაშვილი ხშირად მოგზაურობდა. კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა მხარეების გარდა ის ხშირად ჩადიოდა ევროპული კულტურის ისეთ დიდ ცენტრებში, როგორცაა პარიზი, ლონდონი, ვატიკანი და სხვ.

ენთუზიასტი მეცნიერი განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა ამ ქალაქთა ღირსშესანიშნაობებსა თუ მუზეუმებს. საგანგებოდ მუშაობდა აქაურ წიგნსაცავებსა და არქივებში. გულდაგულ ეძებდა საქართველოს კულტურული ისტორიის მასალებს.

90-იანი წლებიდან ალექსანდრე ხახანაშვილი სისტემატურად მონაწილეობს ისტორიკოსებისა თუ ორიენტალისტების

სამეცნიერო ყრილობებისა და კონგრესების მუშაობაში, რომლებიც რუსეთსა ან ევროპის ქვეყნებში იმართება ხოლმე.

აქ თავშეყრილი სწავლულების წინაშე ალექსანდრე ხახანაშვილი გამოდის მოხსენებებით, რომლებიც ეძღვნებიან ქართული მწერლობისა თუ კულტურის საკითხებს და უდიდეს მოწონებას იმსახურებენ ყოველთვის.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრე ხახანაშვილის მონაწილეობა ორიენტალისტების მე-10 საერთაშორისო კონგრესზე ენევეაში.

კონგრესმა მუშაობა დაიწყო 1894 წლის 23 აგვისტო და ამთავითვე მოექცა განათლებული კაცობრიობის ყურადღების ცენტრში. შესავალი ასდომა. რომელიც ჩატარდა ენევის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში. გახანა შვეიცარიის რეაპუბლიკის პაშინდელმა პრეზიდენტმა ფრეიმ.

კონგრესი მიზნად იასახავდა აღმოსავლეთის ენებისა და ცივილიზაციის შესწავლას; მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის, აზიისა და ამერიკის მრავალი მეცნიერი. ალ. ხახანაშვილი კონგრესზე წარგზავნილი იყო მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების მიერ.

კონგრესი იყოფოდა რამდენიმე სექციად. ამათ შორის ერთ-ერთი იყო ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის სექცია, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცნობილი უნგრელი მეცნიერი ვამბერი.

სწორედ ამ სექციაზე ალ. ხახანაშვილმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება ფრანგულ ენაზე, „უცხოური გავლენები ქართულ ცივილიზაციაზე“.

ალექსანდრე ხახანაშვილის მოხსენების მიზანი იყო გაერკვია, თუ რა კულტურულ-ეკონომიური გავლენა იქონია საქართველოზე მისმა მეზობელმა ქვეყნებმა: ბიზანტიამ, სპარსეთმა, არაბეთმა და რუსეთმა.

80-იანი წლებიდან მოყოლებული ალექსანდრე ხახანაშვილს ხშირად ირჩევდნენ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებების წევრად.

1888 წლიდან ალექსანდრე ხახანაშვილი იყო „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების“ წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 1899 წლიდან — ნამდვილი წევრი.

1889 წლიდან აღ. ხახანაშვილი ითვლებოდა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული „ბუნებათმცოდნეობის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების“ წევრად. სულ მალე იგი ამ საზოგადოების საბჭოს შემადგენლობაშიც შევიდა.

1901 წლიდან უკვე ცნობილი მეცნიერი აირჩიეს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული „რუსეთის ისტორიისა და სიძველეების მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების“ წევრად.

1907 წლიდან ალექსანდრე ხახანაშვილი ითვლებოდა ახალდაარსებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წამდვილ წევრად. 1909 წლიდან კი იგი იყო „რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების“ წევრი და ა. შ. ყველა ამ საზოგადოებათა მეცნიერულ მუშაობაში ალექსანდრე ხახანაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა და მათ გამოცემებში სისტემატურად ბეჭდავდა თავის გამოკვლევებს.

აღსანიშნავია, რომ 1898 წლიდან ალექსანდრე ხახანაშვილი აირჩიეს ლაზარეანთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნად. ამ თანამდებობას იგი პირნათლად უძღვებოდა და აქტიურ მონაწილეობასღებულობდა ინსტიტუტის მეცნიერულ ცხოვრებაში.

90-იანი წლები მძიმე და შეუპოვარი მუშაობის პერიოდი იყო ალექსანდრე ხახანაშვილის ცხოვრებაში. მთელ თავის დროს, ნიქსა და ენერჯიას იგი დაუღალავად ახმარდა ძველი ქართული მწერლობის, საქართველოს ისტორიის, სიძველეებისა თუ ეთნოგრაფიის საკითხების დამუშავებასა და შესწავლას.

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი აკადემიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც თავის დროზე ალექსანდრე ხახანაშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას მშვენიერი პატარა გამოკვლევა უძღვნა, ასე ახასიათებს ალექსანდრე ხახანაშვილის შემოქმედებას: „როდესაც ახლოს ვაკვირდებით ალექსანდრე ხახანაშვილის მოღვაწეობას, თანდათანობით ვამჩნევთ მისი ხასიათის ზოგიერთ თავისებურებას. თუმცა ერთი შეხედვით მოგვიჩვენებოდათ, რომ ალექსანდრე ხახანაშვილი გულზიარი

ადამიანი იყო, მაგრამ იგი ნაკლებად წააგავდა ასეთ პიროვნებას; ეს უკანასკნელი ყოველთვის გაურბოდა ააზოგადობას. ალექსანდრე ხახანაშვილს ყველაზე უფრო ემარჯვებოდა მოეტოვებინა რაც შეიძლება მეტი დრო, რათა იგი გაეტარებინა საყვარელ საქმიანობაში: საწერ მაგიდასთან, წიგნებისა და ჟურნალების სიახლოვეს. ალექსანდრე ხახანაშვილი იყო გულმოდგინე მუშაკი და მან გამოიმუშავა არაჩვეულებრივი შრომის უნარიანობა. ყოველივე ამან კი ალექსანდრეს ერთგვარად კარჩაკეტილობის ხასიათი და იერი მისცა, ამავე დროს კი მას შეუნარჩუნა ძვირფასი თვისება, რომელიც დამახასიათებელია კეთილშობილური ხასიათისთვის: ესაა თავმდაბლობა“.

ქართული კულტურის, მწერლობისა და ისტორიის დიდი დამფასებელი არტურ ლაისტი კი საგანგებოდ აღნიშნავდა: ალექსანდრე ხახანაშვილი „ყველაზე უფრო გამრჩე და პროდუქტიული ქართველი მეცნიერია თანამედროვეთა შორის... ყველა საკითხი, რომელსაც კი იგი ხელს ჰკიდებს, კარგ განმარტებასა და ახსნას პოულობს“.

ალექსანდრე ხახანაშვილის დაუღალავი და ენერგიული მუშაობის შედეგად ლაზარეანთ აღმოსავლური ენების ინსტიტუტი გადაიქცა ქართული მწერლობის შესწავლის ერთ-ერთ მძლავრ კერად.

## ქართველოლოგიის კიდევ ერთი გამარჯვება

ცნობილია, რომ ქართული ენისა და მწერლობის საკითხები ისწავლებოდა რუსეთის მხოლოდ ორ უმაღლეს დაწესებულებაში: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტსა და მოსკოვის ლაზარეანთ სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში.

ჩვენი საუკუნის დამდეგს პეტერბურგის სამეცნიერო ცენტრს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ნიკო მარი, მოსკოვისას — ალექსანდრე ხახანაშვილი.

ამ დროს ქართველოლოგიის დარგში ჯერ კიდევ ბევრი.

ქალზე ბევრი რამ იყო განაკეთებელი. ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლა უზარმაზარ ენერჯიას მოითხოვდა.

ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრების გამრავლება. საჭირო იყო მრავალრიცხოვანი მეცნიერული კადრების მომზადება, კადრებისა, რომლებიც ენერჯიულად მოქედებდნენ ხელს ქართველი ხალხის დიდებული წარსულის საფუძვლიან შესწავლას.

გარდა ამისა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეოლოგიის შესვეურები ქართველოლოგებს მიზნად უსახავდნენ ფარდა აეხადათ ჩვენი ისტორიის მრავალი საიდუმლოებისათვის. მეცნიერულად გაეშუქებინათ ჩვენი დიდებული წარსული და ამასთანავე ქართველი ხალხის ისტორიის, მისი კულტურისა თუ ენის შესწავლის შედეგები გაეცნოთ მოწინავე ევროპული და რუსული საზოგადოების რაც შეიძლება ფართო წრეებისათვის.

ქართველი პატრიოტები ფიქრობდნენ: ამ გზით მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება დაინახავს, რომ საქართველო დიდი წარსულის ქვეყანაა, რომ მას ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურა და დამოუკიდებელი პოლიტიკის ტრადიციები. უფრო მეტიც. ახლა, როდესაც რუსეთის კოლონიალური რეჟიმში უმოწყალოდ დევნის და ანადგურებს ყოველივე ქართულს, ევროპის საზოგადოება გაიგებს, რომ ჩაგვრას განიცდის არა რომელიმე განუვითარებელი, არამედ უაღრესად ცივილიზებული ერიო.

რას თქმა უნდა. ასეთ პირობებში, როდესაც ჩვენი წარსულის შესწავლას განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თვითველი ახალი ქართველოლოგიური ცენტრის დაარსება დიდ გამარჯვებას მოასწავებდა.

1900 წელს, გამოხატავდნენ რა ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადოების ინტერესებს, ალექსანდრე ხაზანაშვილის თაოსნობით და პროგრესულად განწყობილი რუსი პროფესორების დახმარების იმედით, მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა რექტორატს მიმართეს თხოვნით „დაეარსებინათ ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრა“.

ეს თხოვნა იღბლიანი აღმოჩნდა.

ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანატისა და დემოკრატიულად განწყობილი პროფესორების მხარდაჭერით უნივერსიტეტის მმართველობამ ჩამოაყალიბა ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრა.

დაუშვეს ნებართვა, რომ საფაკულტეტო საგანთა შორის არასავალდებულო წესით შემოედოთ ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლებაც.

უკვე 1901 წლის მეცადინეობა განრიგით ქართულ ენასა და სიტყვიერებას ევრაში ორი საათი ეთმობოდა. ერთი საათი კი ინიშნებოდა იმ პირებთან სამეცადინოდ, ვინაც სურდა შეესწავლა ქართული ენა და წერა-კითხვა.

ლექციების კითხვა მიენდო ალექსანდრე ხახანაშვილს. იმ წანებში უკვე გარჯად ცნობილ მეცნიერს. პირველი ლექცია მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ალექსანდრე ხახანაშვილმა წაიკითხა 1901 წლის 16 სექტემბერს.

ამ ლექციამ, რომელიც ჩატარდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური დეკანატის თანდასწრებით, საზოგადოების ცოცხელი ინტერესი გამოიწვია.

დასაწყისშივე ალექსანდრე ხახანაშვილმა მსმენელებს გააცნო, თუ რატომაა აქცელებული ქართველოლოგიური საგნებით დაინტერესება და აღნიშნა კიდევ, რას შესძენდა მეცნიერებას საქართველოს ანლოა ვაცნობა. ალექსანდრე ხახანაშვილმა დამსწრეებს მოუთხორო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართულ ისტორიას, ლიტერატურას და ენას საერთო ფილოლოგიური და ისტორიული საკითხების კვლევისათვის.

პირველყოვლისა ალექსანდრე ხახანაშვილმა მოკლედ დაასახიათა ქართული ენის შესწავლის საერთო მდგომარეობა და აღნიშნა, დღემდე ქართული ენის ბუნება მეცნიერებისათვის გამოცანას წარმოადგენსო.

„ამ შეუწავლევლობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ქართული ენით დაინტერესებული ევროპელი მკვლევარები (მაგ. ბროსე, ბიურნეფი, მიულერი) ან არ იცნობდნენ ქართულ ენას, რომ მისთვის ნამდვილი ალაგი მოენახათ ლინგვისტიკაში, ან თუ იცნობდნენ (როგორც მაგ. მე-18 საუკუნის მისისიონერები), ლინგვისტიკაში სუსტნი იყვნენ“.



ალექსანდრე ხახანაშვილმა მიუთითა: ქართული ენის ბუნების სწორი გარკვევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ. როცა მკვლევარებს საფუძვლიანად ეცოდინებათ ქართული ენა და როცა წინასწარ აკვიატებული სქემების ნაცვლად მისი შესწავლა დაემყარება სწორ მეთოდებსა და ამ ენის შინაგან თვისებების კარგ ცოდნასო. ქართული ენის მხოლოდ ამნაირი შესწავლის შემდეგ გახდება შესაძლებელი იმისი დანამდვილებით გარკვევა, თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს ქართულმა ენამ მსოფლიოს ენებში: ეკუთვნის იგი ინდო-ევროპულ ან ურალ-ალთაურ ჯგუფს, როგორც ამტკიცებდნენ მარი ბროსე და მაქს მიულერი, თუ სრულიად — განცალკევებულ ჯგუფს. როგორც ფრიდრიხ მიულერი ფიქრობდაო.

აი ამ გზით ქართული ენის შესწავლა ბევრს დღემდე გაუგებარ კითხვას გამოარკვევს ლინგვისტიკაშიო, დაასკენიდა ლექტორი. —

ლინგვისტური ნაწილის შემდეგ ალექსანდრე ხახანაშვილმა ვრცლად მიმოიხილა ლიტერატურა თუ ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე მე-20 საუკუნემდე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორია მართო სპეციალიტებისათვის არაა საინტერესო. მისი ცოდნა ბევრ რამეს აუხსნის იმათაც კი, ვისაც ევროპის ან რუსეთის წარსულის გაცნობა სურსო, — განაცხადა მან.

თავისი ლექცია უნივერსიტეტის აუდიტორიის წინაშე ალექსანდრე ხახანაშვილმა შემდეგნაირად დაასრულა: „მე-19 საუკუნის განმავლობაში რუსეთის პოეტებმა შეამკეს საქართველოს დიდებული და მშვენიერი ბუნება, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მე-20 საუკუნის რუსეთის მეცნიერნი ახდიან ბნელ ფარდას, რომელიც ფარავს მისი შვილების გონებრივ და სულიერ საუნჯეს, შეგროვილს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ეს საუნჯე შიგ ჩამარხული იღვითაც და გარეგანი ფორმითაც დამოკიდებულია სამშობლო ენაზე და შეადგენს საქართველოს ერის „წმინდათა წმინდას“.

ალექსანდრე ხახანაშვილის პირველმა ლექციამ მოსკოვის უნივერსიტეტში, როგორც ახალი წარმატებების დასაწყისმა ჩვენი ისტორიისა თუ კულტურის შესწავლისა და მისი ფართო

პოპულარიზაციის საქმეში, ქართული საზოგადოების ღირს-  
აღფრთოვანება გამოიწვია.

მშობლიური მწერლობისა და კულტურის შემსწავლელ-  
კათედრის დაარსება და ამ საქმიანობაში ალექსანდრე ზაზანა-  
შვილის დამსახურება ქართული საზოგადოების მიერ სათანა-  
დოდ იქნა დაფასებული იმ აღრესში, რომელიც 1901 წელს  
პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა  
ალექსანდრე ზაზანაშვილის სახელზე შეადგინეს:

დიდად აბივიცეზულო კროფანსორო  
ალექსანდრე სოლომონის ძემ:

ჩვენ დაბეჩავებულს ცხოვრებაში ძნელად თუ დაკრს სანეტარო ეპიშა.  
რომელსაც ძალუძს გამოადვიდოს მიჩულებული მაჭა ჩვენის ეროვნულ  
აღიშთშეგნებისა და შეაყენოს იგი სასურველ გაწაფვის გზაზე. მრავალ ვხი-  
ველგატეხილნი მით უფრო მეტის თანაგრძნობით და სანუგეშო გულის  
თქმით ვეგებებით ქართული ისტორია — სიტყვიერების სანიმუშო კათედ-  
რის დაარსებას რუსეთის უფველეს უნივერსიტეტში. ეს მრავალმნიშვნელო-  
ვანი და მარად სასიკაძულო მოვლენა არ საკიროებს დაწერილებით გაჩ-  
სალუას, იგი თავის თავის ცხადზე უცხადესად დადაბებს, რომ მუხლად  
სანიმი გადადგა წინსვლისა ჩვენმა ეროვნულმა თვითარსებობამ და გამარ-  
ჯეება არაჩვეულებრივი მოხვეჭა თავისდა გასამტკიცებლად. მეცნიერ-  
ების ტაძარმა თავისი პირუთვნელო კვლევა-ძიების კარი გაუღო ჩვენს ლიტერ-  
ატურა-ისტორიას, რომლის შინაარსი საესებით მეტყველებს არა ერო-  
ვნოვად კაცობრიულ მოვლენას. ამიერიდან ჩვენი ავლადიდება კიდევ ერთ-  
ხელ გვერდში ამოუდგა საუნივერსიტეტო დანარჩენ საგნებს და უქნებ  
ჯეროვან მხარის დამშვენებლადაც შეიქმნეს იგი თავის ღრობე.

მეცნიერული განხილვა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებულ, მაგრამ ჩვენდ-  
არსებითად ხელსაყრელ ისტორიულ ფაქტებისა, ნათლად დაკვანახებებს.  
რომ არც ისე იშვიათად გვეწვებია იგი შარავანდედი, რომელიც თამამად  
გვაძლევს უფლებას ვამაყობდეთ წარსულით და თვალი გაუფსწოროთ მო-  
მავალს. თვით საამდროვო ცხოვრების კრიტიკული შესწავლა ხელთ მოგ-  
ვეცემს ბევრ საზრისს და მით გაგვიადვილებს დათრგუნვას აწინდელ ბედ-  
ზე გადასავლისას.

ვიმედოვნებთ, რომ დიდებული ძალა უნივერსიტეტისა და აუდიტორი-  
თქვენის ნაწრთობის და მზრუნველის ხელთ გაწაფული, გამოიტანს ქვე-  
ნად ჩვენს ცხოვრებას; მით ცხოველ-მყოფლად გამოაბრუნებს იგი ჩვენს  
მიძინებულს თვითშეგნებას და მარჯვე კას ამოდებს ჩვენი ქვეყნის ღიდ-  
ბის ყბადამლებლებს, რომელთაც იმთავითვე დაბალ ღობედ მივაჩნევარს.

და დღე-მუდამ ცდილობენ ქართველების სახსენებელი ალგავონ ამქვეყნად და მსუბუქ ჩალასაფით ნიაქქარს გაატანონ.

ერთი სიტყვით! გადადგმულია წინ კიდევ ერთი ნაბიჯი მტკიცე და ჩვენ-და საგულისხმირო, და ამ მხრით სამარადისოდ მადლობელი უნდა ვიყოთ ოქვენი, პატივცემულო პროფესორო. ყოველყამ გამქვეალულმა ჩვენის ცხოვრებით. მუდამ ფხიზლად მზარუნველმა ჩვენ მისწრაფებამო ხელნაყრელ ვანხირციელებისათვის თქვენ მიაღწიეთ ამ საშეილიშვილო გამარჯვებას და ერთხელ კიდევ სხვათა სამაგალითოთ დაამტკიცეთ, რომ ჯულწრფელი სურვილი და დაუზარებელი სამშობლოსადმი სამსახურისა ღონემოსილია, დასძლიის ყოველივე დაბრკოლება და მიაღწიოს სამამულიშვილო სულთა სწრაფას.

სამეცნიერო ასპარეზზე უკვე ნაცადი თქვენი მოღვაწეობა. ენერგია და აგრეთვე მკვეთრი საეროვნო გულის ნაღებიცა. რომელიც ხელთ გიპყრით ბარჯვება და შესაფერად, დაბეჯითებით გვითავლებებს, რომ მეცნიერებისა და სამშობლოსადმი თქვენებური სიყვარულით ეცდებით, თქვენიწავე მეოხებით დადებულ სანდო ქვაკუთხედს მოყვეს სანდოვე შენობა, შემოვილო ღირს-სახსოვარ წარწერიო: ქართველს უფლებაა აქვს თავი მოიწონოს წარულით, ხუგეში იცეს აწმყოში და იქონიოს იველი მომავლსა.

პიილეთ კადნიერო სალამი თქვენდა და მარადის პატივისცემა თქვენის მოღვაწეობისადმი. გისურვებთ დღეგრძელობას და ღონის შეწევნას, რათა ასახელოთ და საბედნიეროთ ჩვენი სიყვარული სამშობლოსა დაავიარგინოთ უანგარო და ნაყოფიერი ქირნახულით...

1901 წ. .1 იანვარი, პეტერბურგი.

როგორც ვხედავთ. ქართველი საზოგადოება დიდ მოვლენად თვლიდა ქართული ენისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრის დაარსებას.

ალექსანდრე ხანანაშვილმა არა მარტო დაარსა კათედრა და სათავეში ჩაუდგა მას. არამედ შემდგომში ამ კათედრისათვის ზიბლიოთეკა და ინვენტარიც კი შეიძინა საკუთარი ხარჯებით.

რუსეთის ამ დიდრ საუნივერსიტეტო ცენტრის ამბიონიდან გაიშობდა პატრიოტი მეცნიერის მგზნებარე ხმა, რომელიც უარითო საზოგადოებას მოუთხრობდა იმ დიდი ცივილიზაციისა და მწერლობის შესახებ; რომელმაც კაცობრიობას მისცა ათონელი მოღვაწეები, ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსები, შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა და სხვანი.

## ალექსანდრე ხახანაშვილი როგორც საზოგადო მოღვაწე

ალექსანდრე ხახანაშვილი არასოდეს ყოფილა კაბინეტო-მეცნიერი. ალექსანდრე ხახანაშვილის წარმოდგენით მეცნიერება იყო ის მძლავრი საშუალება, რომელიც ყველაზე მეტად შეუწყობდა ბელს ერის გათვითცნობიერებას და მის დარაზმვას ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ იდეით ალექსანდრე ხახანაშვილი უკვე სტუდენტობის დროიდანვე ხელმძღვანელობდა.

საინტერესოა კახეთ „ვერიის“ ერთ-ერთ ნომერში (1887 წ.) დაბეჭდილი ცნობა, რომელიც იტყობინებოდა. რომ მოსკოვის უნივერსიტეტში რუს, ქართველ და სხვა ეროვნების სტუდენტთა გაერთიანებულ შეკრებაზე რეფერატი წაიკითხა „...ბ-ნმა ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილმა რეფერატის შინაარსში იყო აღწერა მოხევეთა ზნეობისა. სარწმუნოებისა, ოჯახებისა და სხვ. დასაარულ, რეფერატის ავტორმა გამოთქვა ფრიად საყურადღებო აზრი, რომ დრო ჩვენი ქვეყანა, ასეთის მშვენიერის ბუნებით შემკულო, რუსეთის მეცნიერებმა გაიცნონ“. შეკრებას დაწერეს ა თვით მაქსიმე კოვალევსკი, რომელსაც ალექსანდრე ხახანაშვილს მოხსენება მოსწონებია და შეუქია კიდევაც.

ალექსანდრე ხახანაშვილმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მთელი ენერჯია და ერუდიცია მშობლიურ მეცნიერებას მოახმარა. და დაუღალავ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ალექსანდრე ხახანაშვილის მოღვაწეობის ამ მხარის დასახასიათებლად შეიძლება დავაახელოთ შრავალი ფაქტი:

მაგალითად, ჯერ კიდევ 1891 წელს მოსკოვში მყოფ ქართველებს განუზრახავთ ეთნოვნათ ნებართვა ქართული ყოველთვიური სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალის დასაარსებლად. ამ საქმის ინიციატორები, რომელთა შორის ალექსანდრე ხახანაშვილიც იყო, ფიქრობდნენ, რომ ასეთი ჟურნალის დაარსება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების კან-

კომუნისტებისათვის უაღრესად სასარგებლო იქნებოდა, ვინაიდან იმ დროისათვის საქართველოში ასეთი ტიპის ყოველი ფურცელი გამოცემა არ არაებობდა.

ალექსანდრე ხახანაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვარგად ახასიათებს მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც იგი ეხებოდა საქართველოსა და კავკასიის კულტურულ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას.

მათი პუბლიცისტური წერილები მრავლად ქვეყნდებოდა საქართველოსა და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში: „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „რუსკიე ვედომოსტი“, „რუსკაია მისლ“, „ვესტნიკ ევროპი“, „ისტორიჩესკი ვესტნიკ“ და ა. შ. ამ წერილებში იგი გამოდიოდა შუამავლად ქართულსა და რუსულ საზოგადოებებს შორის და ბევრიც გააქეთა მათი ურთიერთდაახლოებისა და კაცნობისათვის.

თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ალექსანდრე ხახანაშვილი ყოველთვის გვევლინებოდა, პროგრესულად მოაზროვნე დიდ ჰუმანისტად და ხალხთა მეგობრობისა და ბუნდოვნებისათვის მებრძოლ ადამიანად.

ალექსანდრე ხახანაშვილი დიდი სიხარულით მიეგება 1905 — 1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და მთელი არსებით რევოლუციით გამოღვიძებული მასების მხარეზე დადგა.

რევოლუციური აღმავლობის პერიოდში პატრიოტი ქართველი მეცნიერის ყურადღებას უმთავრესად იქცევდა კავკასიისა და საქართველოს ბედი.

1905 წელს ალექსანდრე ხახანაშვილი რუსეთში მყოფ სხვა ქართველებთან ერთად სისტემატურად მონაწილეობდა იმ მრავალრიცხოვან თათბირებში, რომლებზედაც იხილებოდა ზოლზე კავკასიისა და საქართველოს პრობლემები. სახელმწიფო წათათბიროს მოწვევის პერიოდში იგი გაყვანილ იქნა ამომრჩევლად გორის მაზრიდან.

ალექსანდრე ხახანაშვილის დემოკრატიული ბუნების გამოხატველია მისი დამოკიდებულება მოსკოვის ქართველ

სტუდენტებთან, რომლებთანაც არასოდეს შეუწყვეტია აბლო-  
მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულება.

როგორც ცნობილია, რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს  
საწავლებლებში მყოფი და მშობლიურ მხარეს დაცილებული  
სტუდენტები ერთიანდებოდნენ ხოლმე ე. წ. „სათვისტომო-  
ებში“.

მე-19 საუკუნია ბოლო მესამედიდან რუსეთის უმაღლესი  
საწავლებლების ქართველმა სტუდენტებმაც ჩამოაყალიბეს  
ასეთი „სათვისტომოები“. ამგვარი ორგანიზაციებიდან ყველა-  
ზე უძველესნი იყვნენ პეტერბურგისა და მოსკოვის ქართველ  
სტუდენტთა „სათვისტომოები“.

რუსეთის დიდ ქალაქებში მყოფი ქართველი ახალგაზრდე-  
ბი საერთო ძალით მართავდნენ ხოლმე ფასიან კონცერტებს.  
შემდეგში კი მიღებული ფული ხმარდებოდა ამავე ახალგაზრ-  
დობის კულტურულ-მატერიალურ კეთილდღეობას.

საინტერესო მუშაობას ეწეოდნენ ქართული „სათვისტო-  
მოები“ ეროვნული ისტორიისა თუ კულტურის შესწავლისა და  
უცხო მხარეში მისი პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ამგვარი  
საქმიანობა განსაკუთრებით გაძლიერდა 900-იანი წლების  
დასაწყისიდან, ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში.

მოსკოვში აღსანიშნავია აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭა-  
ძის სახელობის სტუდენტთა წრეების შექმნა. პირველი მათგანი  
ჩამოყალიბდა კომერციულ ინსტიტუტში, მეორე კი უნივერ-  
სიტეტში. ამ უკანასკნელის სრული სახელწოდება ასეთი იყო:  
„მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული ქარ-  
თული კულტურის მოყვარულთა წრე ილია ჭავჭავაძის სახე-  
ლობისა“.

ამ წრის ერთ-ერთი ორგანიზატორი და პირველი თავმჯდო-  
მარე იყო შემდეგში ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე  
და იურისტი გიორგი ჟორდანიას ვაჟი, რომელიც იმ ხანებში იუ-  
რიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა უნივერსიტეტში. ეს წრე  
უმთავრეს ამოცანად ისახავდა ქართული კულტურის ყო-  
ველმხრივ შესწავლას და მის პოპულარიზაციას არაქართველ-  
თა, კერძოდ კი რუს ხალხს შორის. ილია ჭავჭავაძის წრემ თა-

ვისი არსებობის პერიოდში (1908 - 1914) დიდი მუშაობა ჩაატარა დასახული მიზნის შესასრულებლად.

უნდა შევნიშნოთ, რომ თავიდანვე ამ წრის მუშაობაში სხვა ქართველ მოღვაწეთა გვერდით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ალექსანდრე ხახანაშვილიც. რომელიც ამ ორგანიზაციის საჯარო სხდომებზე ხშირად გამოდიოდა შესანიშნავი მოხსენებებით. შეკრებილ საზოგადოებას იგი სისტემატურად აცნობდა ქართული მწერლობის და კულტურის საკითხებს. იგი ხშირად თავმჯდომარეობდა ამ წრის შინაარსიან სხდომებს, რომლებიც დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ქ. ჰოსკოვის სხვადასხვა საკრებულოებში. უმეტესად კი უნივერსიტეტის ააქტო დარბაზში.

ალექსანდრე ხახანაშვილის ინიციატივით და მატერიალური შემწეობით ჩამოყალიბდა „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“.

ეს საზოგადოება დაარსდა 1911 წელს. მასში, „ილიასა“ და „აკაკის“ სახელობის წრეებისაგან განსხვავებით, გაერთიანებული იყვნენ არა მარტო სტუდენტები, არამედ მოსკოვში მყოფი სხვა ქართველებიც. ალექსანდრე ხახანაშვილი იყო ამ საზოგადოების თავმჯდომარე. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელობის სტუდენტთა წრეების დარად ეს საზოგადოებაც მიზნად ისახავდა რუსი ხალხისათვის გაეცნო საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა, დაეახლოებინა ერთმანეთთან ქართველი და რუსი ინტელიგენცია.

ეს ორგანიზაცია თავის სხდომებს რუსულ ენაზე მართავდა ხოლმე და ამით ქმნიდა შესაძლებლობას, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიეღოთ მოსკოვის მცხოვრებთ. თავისი სასარგებლო საქმიანობით ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომაც მის სხდომებს, სადაც კანიზილავდნენ ხოლმე ქართველ მწერალთა შემოკრმედებასა თუ ქართული ხელოვნების სხვა საკითხებს, დიდად ეტანებოდა ხალხი.

ალექსანდრე ხახანაშვილი ამ საზოგადოების დაარსების დღიდანვე მისი სულის ჩამდგმელი და აქტიური წევრი იყო. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ზრუნავდა ამ საზოგადოე-

ბაზე და ათასი მანეთიც კი უნდევრდა მას. რათა ქართველთა ამ ორგანიზაციას დიდხანს და შეუფერხებლად ემოღვაწა ქართველთა საკეთილდღეოდ. ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის რუსეთში.

ასეთად წარმოგვიდგება ალექსანდრე ხახანაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის სურათი.

როგორც ვნახეთ. ალექსანდრე ხახანაშვილი იყო დიდი საზოგადო მოღვაწე.

ამასთანავე იგი იყო დიდი მასშტაბის მეცნიერი, ქართველ ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის დაუცხრომელ მკვლევარი, მრავალი ნაშრომის ავტორი საქართველოს ისტორიაში, არქეოლოგიაში. ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში. ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში.

ალექსანდრე ხახანაშვილის სამეცნიერო ინტერესთა დიდი ღრაბაზონი თითქმის შეუძლებელს ხდის მისი მეცნიერული შემკვიდრეობის სრულსა და დეტალურ მიმოხილვას ამ პატარა ნარკვევში;

ამიტომაც გამოჩენილი მკვლევარის მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის დახასიათებას პირობითად დავიყვანთ ორ მთავარ საკითხამდე.

1. ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული ისტორიოგრაფია.

2. ალექსანდრე ხახანაშვილი, როგორც ქართული სიტყვიერების ისტორიის მკვლევარი.

## ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული ისტორიოგრაფია

ქართულმა ისტორიულმა აზროვნებამ, რომლის სათავეებშიც შორეულ, მეტად შორეულ წარსულშია საძებარი, რთული და საინტერესო კზა განვლო.



ჯერ კიდევ აღრეულ შუა საუკუნეებში ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის --- აღმავლობისა თუ დაცემის შესაბამისად ქართული ისტორიოგრაფიაც ხან დაქვეითდებოდა, ხან კი ისევ აღზევდებოდა.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ განვითარების განსაკუთრებით მაღალ საფეხურს მიაღწია XI-XII საუკუნეებში.

ეს იყო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ერთობისა და სოციალ-ეკონომიური აღმავლობის ხანა. კულტურულად და ეკონომიურად ამდლებული ქვეყნის შიგნით ამ დროისათვის ყველაზე აქტიურ ძალას წარმოადგენენ ის მოწინავე საზოგადოებრივი ფენები, რომლებიც დაჟინებით იბრძოდნენ ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისა და მისი კულტურულ-პოლიტიკური პოტენციალის ამდლებისათვის.

ამ ეპოქის ისტორიკოსებს შორს მოეტოვებინათ წარსულის ქრონიკალური აღწერის მარტივი წესი და თხზულებების აგება განვითარებულ მეცნიერულ მეთოდებზე დაეფუძნებინათ. ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსს უკვე შემუშავებული ჰქონდა მეცნიერული შეხედულებაც კი იმის თაობაზე, თუ რა დანიშნულება აქვს საზოგადოებისათვის ისტორიულ ნაშრომებს.

იგავე მეცნიერები საგანგებოდ ფიქრობდნენ, თუ როგორ უნდა მოეპყრას მკვლევარი საისტორიო წყაროებს და რა ფრთხილად უნდა გამოიყენოს ისინი. და ბოლოს, არცთუ იშვიათად, ზოგიერთი ამ ისტორიკოსთაგანი მსჯელობდა იმ ურთულესი საკითხის შესახებაც, თუ საერთოდ რა კანონებს ემორჩილება ხოლმე საზოგადოების ისტორიის განვითარება.

გვიანფეოდალურ საქართველოში, მძიმე საშინაო და საგარეო პირობების გამო, საზოგადოებრივმა აზროვნებამ ერთგვარი დაცემა განიცადა. ამის პარალელურად დაქვეითდა ქართული ისტორიოგრაფიაც: კინკლოსურ-ქრონიკალურ ეპითალმწერლობად გადაიქცა და ერთხანობას, ზრულადაც მოისპო.

შედარებით გვიან, კერძოდ, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთგვარად შესაძლებელი გახდა სიმშვიდის დამყარება ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად კი ქართლში. ამ დროიდან შეიქმნა შედარებით ხელსაყრელი პირობები კულტურული და ინტელექტუალური მუშაობისათვის.

განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები დაუდგა ქართულ ისტორიოგრაფიაში მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში. როცა შესამჩნევი გახდა ქვეყნის ააერთო სოციალ-ეკონომიური და კულტურული წინსვლა.

ამ დროს მოღვაწეობდა ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ისეთი გიგანტი. როგორც იყო ვანუშტი ბაგრატიონი. მან ქართული ისტორიოგრაფია აიყვანა თანადროული მსოფლიო ისტორიოგრაფიის დონეზე.

მე-18 საუკუნის ბოლოს ქართველობამ მძიმე დარტყმები გადაიტანა. რამდენჯერმე გადარჩენილი ქვეყნის თავზე კიდევ ერთხელ გადაიქროლა ბარბაროსული აღმოსავლეთის სუსხინამა გრიგალმა.

ამის შემდეგ მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული ისტორიოგრაფია ახალ სიმაღლეზე აიყვანა გამოჩენილმა მეცნიერმა, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის პირველმა ქართველმა წევრმა თეიმურაზ ბაგრატიონმა. როგორც ცნობილია, თეიმურაზი იყო დიდი ფრანგი ქართველოლოგის, აკადემიკოს მარი ბროსეს მანაწველებელი.

მე-19 ს. 30--50-იან წლებში საქართველოს წარსულს სწავლობდნენ: ალექსანდრე ორბელიანი, სულხან ბარათაშვილი, პლატონ იოსელიანი და ახვები. რომლებმაც თავიანთი ხშირად განსხვავებული სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. ხელი შეუწყვეს ჩვენი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის გამოღვიძებას და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დიადი აღმავლობის ფაზაში შევიდა.

ამ მოძრაობის მთავარ წარმომადგენლებს აერთიანებდათ საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლის იდეა. ამავე დროს ისინი ეწარაფვოდნენ არსებული სოციალური უთანასწორობის მოსპობას, რაც, მათი შეხედულებით, ნაწილობრივ განხორციელდა კიდევ ბატონყმობის გაუქმებით.

საქართველოს განახლებისათვის მებრძოლი ეს მამული-შვილები ეროვნულ საკითხს პირველ რიგში აყენებდნენ და

სოციალურ პროგრამასაც მის ინტერესებს უქვემდებარებდნენ.

ბურჟუაზიული განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყანაში ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ისტორიოგრაფიაც დროის შესაფერისი წარმოშვა. ამიერიდან ისტორია ისევ ვებრძოლ იარაღად გადაიქცა და დიდად შეუწყო ხელი ქართული ხალხის გათვითცნობიერებას.

მე-19 საუკუნის ბოლო მესამედიდან ქართული ისტორიული აზროვნების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი ქართველი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მებრძოლი ილია ჭავჭავაძე.

მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დამდეგობათვის გამოჩნდა მთელი თაობა ნიჭიერი მკვლევარებისა. რომლებმაც თვალსაჩინო ამაგი დასდეს ეროვნული ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლას. ამ თაობას განეკუთვნებოდნენ ცნობილი მკვლევარები: ა. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილი, ა. ხაჩანაშვილი და სხვანი. ამავე თაობის წარმომადგენელი იყო უდიდესი მეცნიერი ნიკო მარი და ბოლოს დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თავისი მეცნიერული მოღვაწეობა 900-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო.

მე-19 ს. 80-იანი წლებიდან ალექსანდრე ხაჩანაშვილი დაუღალავად იკვლევდა საქართველოს ისტორიის საკითხებს და მის შედეგებს ფართო სამეცნიერო წრეებს აცნობდა.

ალექსანდრე ხაჩანაშვილის მეცნიერული ინტერესების სფერო თავიდანვე ფართო იყო. იგი ერთნაირი ხალისით ცდილობდა საქართველოს როგორც სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური, ასევე — მატერიალური თუ სულიერი კულტურის ისტორიათა საკითხების გაშუქებას. და, რაც მთავარია, ალექსანდრე ხაჩანაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც უარყო ის მეთოდოლოგიური ტრადიცია, რომლის თანახმადაც საქართველოს ისტორია იწერებოდა „ქართლის ცხოვრების“ მშრალი სქემების მიხედვით; ამ თვალსაზრისით იგი პირდაპირი მემკვიდრე იყო იმ შეხედულებისა. რომელიც საქართველოს ისტორიაზე დიმიტრი ბაქრაძემ შეიმუშავა თავის ღრობს. ამიტომაც იყო, რომ ალექსანდრე ხაჩანა-

შვილმა ჩვენი წარსულის შესწავლაში წერილობითი წყაროების გვერდით გაბედულად შემოიტანა არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული მასალები.

ალექსანდრე ხახანაშვილის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაში იმთავითვე განსაკუთრებული ადგილი დაიკავებს ისეთმა გამოკვლევებმა, რომლებიც ეხებოდნენ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხებს საქართველოში. პრობლემათა ეს წრე ალექსანდრე ხახანაშვილის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავიდანვე. ამიტომაც მისი ისტორიოგრაფიული შემოქმედებები დაზნაობებს ჩვენს ქვეყანას ლავიწყებთ.

როგორც ცნობილია, ფეოდალიზმი არის საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია. ფეოდალთა ხელში მოქცეულია წარმოების ძირითადი საშუალებები. კერძოდ კი მიწა. თავისი კლასად ჩამოყალიბების დროიდან, რაც ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს, ფეოდალები ქმნიან საკუთარ ორგანიზაციას. აადაც ისინი იერარქიულად არიან განწყობილნი. თავია ეკონომიურ გაბატონებას ეს უკანასკნელნი აღწევენ სწორედ ამ ორგანიზებითა და მწარმოებელი საზოგადოების ძალით დამორჩილებით.

ფეოდალიზმის დროს საზოგადოების ძირითადი მწარმოებლური მასა არის გლეხობა. ეს უკანასკნელები ფეოდალებთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ფეოდალების სიმდიდრის წყარო არის გლეხობის უმოწყალო ექსპლოატაცია.

დიდი დრო დასჭირდა მეცნიერებას, ვიდრე ფეოდალიზმია შესახებ აეთნაირ წარმოდგენას შეიმუშაებდა.

ჩვენ არ ვაპირებთ სრულად გავაცნოთ მკითხველებს თუ ვინ იყვნენ ის მეცნიერები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ისტორიული მეცნიერების საერთო დაწინაურებისა თუ ფეოდალიზმის კვლევის საქმეში. აღვნიშნავდი მხოლოდ, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენლებმა მთლიანად ვერ ახსნეს ფეოდალიზმის რაობა.

კერძოდ, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს განზე დარჩათ ის ფაქტი, რომ ფეოდალიზმი არის ისეთი

ფორმაცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ნიშანიცაა საზოგადოების კლასობრივი დაყოფა ფეოდალებად და ყმა-გლეხებად. განზევე რჩებოდა ის ფაქტიც, რომ ეს კლასები იმყოფებოდნენ მკაცრ ანტაგონისტურ დამოკიდებულებასა ანუ კლასობრივ ურთიერთ ბრძოლაში და რომ ეს კლასობრივი ბრძოლა არის საზოგადოებრივი განვითარების უმთავრესი მიზეზი, რომლის ეტაპებიც ჩვენს წარმოდგენაში საფუძვლად უდევს ფეოდალურ ურთიერთობათა პერიოდიზაციას.

დასაბუთებული მეთოდოლოგიური შეზღუდულობის გამო ბურჟუაზიული ისტორიკოსები და სოციოლოგები არც კი სვამდნენ ფეოდალურ ურთიერთობათა პერიოდიზაციის, ე. ი. შინაგანი ეტაპების საკითხს და კვლევა-ძიებას წარმართავდნენ ფეოდალიზმის მხოლოდ ზოგიერთი ინსტიტუტის, და ისიც აღწერითი შესწავლის ხაზით.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ მე-19 საუკუნის ბურჟუაზიული ისტორიკოსების დიდი ნაწილი იცავდა იმ აზრს, თითქოს ფეოდალიზმი დამახასიათებელი იყო მარტოოდენ ინდო-ევროპული ხალხების საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისათვის. ამ ხალხთა ჯგუფში კი ეს ისტორიკოსები უფრო მეტად დასავლეთის ერებს აქცევდნენ ხოლმე.

აღმოსავლეთის ხალხს კი, ამ ისტორიკოსების აზრით, თავიდანვე განსაკუთრებული ბედი დაჰყვათ: აღმოსავლეთის ისტორია იყო უძრავი და არ იცნობდა სოციალურ ბრძოლას, რომელიც წინ სწევდა დასავლეთის ერების საზოგადოებრივ ყოფიერებას.

ამით ეს რეაქციული ისტორიკოსები ააბუთებდნენ აზრს, რომ ახალ ეპოქაში აღმოსავლეთის ჩამორჩენილობის მიზეზი იყო სწორედ ეს თავისებურებები, რასაც განაპირობებდა აქ მობინადრე ხალხების თანდაყოლილი ხასიათი და ისტორიული განვითარების სვე-ბედი.

აღნიშნული ისტორიკოსები გაიძახოდნენ: სწორედ უძრავობა გახდა იმისი საფუძველი, რომ დასავლეთის ერების მემკვიდრეთა დარად აღმოსავლეთის ხალხებმა ვერ შექმნეს თანამედროვე დიდი ცივილიზაცია და განვითარებული საზოგადოებ-

რევი წყობილებათ. ამიტომაც ამ უკანასკნელთა თანადროული, ე. ი. ცივილიზებული ევროპიალში დაქვემდებარებული არსებობა დიდად პროგრესული მოვლენაა. ვინაიდან ჩამორჩენილი აღმოსავლეთი განვითარებული ევროპის ზელში შეიქმნება ცივილიზებული და მოიპოვებ. საზოგადოებრივი წინსვლისათვის საჭირო ხელს, რომელიც მარტოოდენ დასავლეთის ერებისათვის არის დამახასიათებელი.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. აღმოსავლეთის ისტორიის ღრმა შესწავლამ თანდათანობით დაარღვია ეს ევროპოცენტრისტული, აშკარად კოლონიალიტური კონცეფციები.

პროგრესულად განწყობილმა ისტორიკოსებმა დაიწყეს შემუშავება ახალი კონცეფციებისა იმის თაობაზე, რომ ფეოდალიზმის ეპოქა განვლეს არა მარტო დასავლეთის ერებმა, არამედ აღმოსავლეთის ხალხებმაც. ამ ისტორიკოსებმა დაასაბუთეს, რომ სოციალური მოძრაობები აღმოსავლეთის ისტორიის ისეთივე დამახასიათებელი მოვლენაა, როგორც ეს ევროპის მაგალითზე იყო ცნობილი.

თუმცა ეს ისტორიკოსები იმია აღიარებამდე მივიდნენ. რომ შინაგან კანონთა წყალობით ფეოდალიზმი არის ერთერთი ეტაპი საზოგადოების განვითარებაში და ამ მსგავსი შინაგანი ძალების მეშვეობით იყო, რომ ფეოდალიზმი არსებობდა როგორც დასავლეთის. იმე აღმოსავლეთის ისტორიაში, მაგრამ ბურჟუაზიული შეზღუდულობის გამო მათმა კონცეფციებმა შეცნიერულად მაინც ვერ ახსნეს, თუ რა იყო ის კონკრეტული მიზეზები, რომლებმაც ფეოდალიზმის წარმოშობა განაპირობეს და იმის ნაცვლად, რომ იგი შეესწავლათ საზოგადოების შინაგან სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურასა თუ მის განვითარებაში, ამ მიზეზების ძიება დაიწყეს ამა თუ იმ ხალხის ფსიქიკაში, სულიერი განვითარების კანონებში.

ალექსანდრე ბანანაშვილის მეცნიერულ მსოფლმხედველობაზე ევროპული ისტორიოგრაფიის ამ კონსტრუქციებმა დიდი გავლენა იქონიეს ადრიდანვე და მისი კვლევა-ძიების მეთოდოლოგია თავისებურად შემოფარგლეს კიდევ.

მაგალითად. მოყვანილ მოძღვრებათა კავლენის უთუო მაჩვენებელი იყო შემდეგი მომენტი:

საქართველოა აოციალური ისტორიის ზოგიერთ საკითხზე მსჯელობის დროს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი ხაზგასმით მიუთიებდა, რომ ფეოდალიზმი ისტორიულად მარტოდენ გერმანული და რომანული ერებისათვის კი არ იყო დამახასიათებელი; „არამედ იგია მსოფლიო მოვლენა. რომლის კერძო განსხვავებანი დამოკიდებულნი არიან ერის ხასიათზედ და იმის ისტორიულ განვითარების სვეზედზე“.

მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ბურჟუაზიული ევროპის ისტორიოგრაფიამ ძირთადი ყურადღება მიაქცია საზოგადოების სოციალ-ეკონომიური ისტორიის. სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მათი ორგანიზების საკითხს.

ეს იყო ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დიდი აღმავლობის ხანა.

იმავე მე-19 საუკუნის ბოლო მესამედში კი რუსეთის ისტორიის მაგალითზე განსაკუთრებული აღმავლობით დაიწყო ასეთი საკითხების კვლევა რუსულ ისტორიოგრაფიაშიც. ეს მიღწევები განსაკუთრებული სიცხადით ახასია გამოჩენილი მეცნიერის ვ. ო. კლიუჩევსკის ნაშრომებში, სადაც ბურჟუაზიული აზროვნების პოზიციებიდან ფუნდამენტალურად იყო განხილული რუსეთის საზოგადოებრივი თუ ეკონომიური ურთიერთობის ისტორიის ძირეული საკითხები.

ამავე ხანების ქართულ ისტორიოგრაფიაში, მისი ჩამორჩენილობის გამო, ეს საკითხები ჯერ კიდევ დაუმუშავებელი იყო და თითქმის თეთრ ლაქას წარმოადგენდა.

ამიტომაცაა, რომ ალექსანდრე ხახანაშვილმა ძირთადი ისტორიული ნაშრომები უძღვნა ქართული ფეოდალიზმის, კერძოდ კი ამ ეპოქის საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის ისტორიათა საკითხებს.

1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა, ერთი წლის შემდეგ კი ცალკე წიგნადაც გამოიცა მისი მონოგრაფია „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“

შემდეგ ამ გამოკვლევას მოჰყვა ალექსანდრე ხახანაშვილის

სხვა ნაშრომებიც: „იმუნიტეტი საქართველოში“, „წოდებათა ისტორია საქართველოში“, „მე-17 და მე-18 საუკუნის ფულის შედარება ჩვენი დროის ფულთან“. „ფეოდალური ტერმინი ქართულ ძეგლებში“ და ა. შ.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა თვალსაზრისით ალექსანდრე ხახანაშვილის ნაშრომი — „ბატონყმობა საქართველოში...“ განსაკუთრებით საინტერესო და სოლიდური გამოკვლევა იყო. ამიტომაც იგი იმსახურებდა მრავალმხრივ ყურადღებას.

ალექსანდრე ხახანაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც აქე ღრმად და საგანგებოდ დაინტერესდა ბატონყმობის პრობლემით. იგი შეეცადა მეცნიერულად აეხსნა ბატონყმობის არსი.

ალექსანდრე ხახანაშვილის კონცეფციით გლეხთა დაყმევების პროცესი ფეოდალურ საქართველოში გაპირობებული იყო ეკონომიური მიზეზით და ამას უპირატესობა ეძლეოდა პოლიტიკურ მიზეზებთან შედარებით.

ალექსანდრე ხახანაშვილის მიხედვით აეთი დამოკიდებულება პირველად იქმნებოდა კერძო სამართლებრივ დარგში, მაგრამ ამავე დროს ბატონყმობის გაძლიერება იყო შედეგი მთავრობის განკარგულებისა, ხელმწიფის სურვილისა; შემდეგში კი პოლიტიკური და ეკონომიური ვარემოებანი მხარდამხარ მოქმედებდნენ ამ წეს-წყობილების, ე. ი. ბატონყმობის გასამტკიცებლად.

თავის ნაშრომში ალექსანდრე ხახანაშვილი ვრცლად ეხებოდა გლეხთა კატეგორიების საკითხს ფეოდალურ საქართველოში და აღნიშნავდა, რომ ბატონყმურ საქართველოში გლეხები ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენდნენ და როგორც უფლებრივად, ისე ფაქტობრივად საკმაოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მაგრამ შემდეგში მე-18 საუკუნიდან მდგომარეობა საუკუნით შეიცვალა, ისე რომ, სხვადასხვა კატეგორიის ყმები — წყალობის ყმა, ნაყიდი და თავისი ნებით მოსული, აირივნენ ერთმანეთში და ერთად შედუღაბებულთ დაბადეს ის ყმა, რომელსაც მე-18 საუკუნიდან ვიცნობთ.

ალექსანდრე ხახანაშვილი ვრცლად ჩერდებოდა ბატონ-



უმური რაგის დახანიათებაზე და ეს საკითხი უაღრესად საინტერესოდ ჰქონდა განხილული.

ამ ნაშრომის მართო ასეთი სქემატური მიმონილვაც კი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მეცნიერებისათვის ალექსანდრე ხახანაშვილის დასახლებულ გამოკვლევას. თუმცა აქ ყველაფერი სათანადოდ მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით არ იყო განხილული: კერძოდ, ავტორია კონცეფცია ბატონყმობის განვითარების ძირეული გზების შესახებ უაღრესად შიშველი სქემების სახით იყო წარმოდგენილი. ეს სქემატოზში კიდევ უფრო მძლავრი იყო იმიტომაც, რომ ბატონყმობია წარმოშობის დახანიათებას საქართველოში, როგორც ნაშრომის დაკვირვებულმა შესწავლამ გვიჩვენა, ალექსანდრე ხახანაშვილი იძლეოდა არსებითად იმ ტრაფარეტით, რომელიც შოცემული ჰქონდა ჯერ კიდევ ვ. კლიუჩევსკის თავის ცნობილ ნაშრომში: „ბატონყმობის წარმოშობა რუსეთში“. არსებითად ვ. ს. კლიუჩევსკის მეთოდოლოგიურ გავლენას უნდა მიეწეროს ის კარემობაც, რომ ბატონყმობის შესწავლას ალექსანდრე ხახანაშვილი აღწერითი თვალსაზრისით უდგებოდა და იმის შავიერ, რომ განეხილა ბატონყმობა როგორც სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა ერთობლიობა, იგი მას სწავლობდა, როგორც უფლებრივ ურთიერთობათა ჯამს.

აქედან გასაგებია, თუ რატომ ამტკიცებდა ალექსანდრე ხახანაშვილი ვ. კლიუჩევსკის დარად, ვითომც მე-18 საუკუნემდე გლენობის ძირითადი ნაწილი თავისუფალი იყო და ბატონყმური ურთიერთობა სრული სახით დამყარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ იურიდიულად დაკანონდა უმური დამოკიდებულებები.

ალექსანდრე ხახანაშვილის იმ ნაწერებიდან, რომლებიც ქართული ფეოდალიზმის პრობლემატიკას ეხებოდნენ, ცალკეა აღსანიშნავი მისი რამდენიმე წერილი, სადაც განხილული იყო საშუალო საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკური წყობილების საკითხები. ასეთი ნაშრომებია: „ქართველ მეფეთა ტიტული, კურთხევა და რეგალიები“ (1895), „საქართველოს

სამეფოა მოსელენი" (1697). „ამასურია დაწყობილება იმე-  
რეთის მეფე სოლომონ II-ის დროს" (1900) და სხვა.

ხსენებულ გამოკვლევებში ავტორი ძირითადად იყარვლუ-  
ბოდა ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტების ტერმინოლოგიური  
მნიშვნელობის გარკვევით. რომლებიც ერთობლიობაში ქმნიდ-  
ნენ ფეოდალიზმის პოლიტიკურ წყობილებას. ზოგჯერ ავ-  
ტორი ცდილობდა შეემჩნია ია წესრიგიც. რომლითაც ეს ინ-  
სტიტუტები ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული.

დღეისათვის, როდესაც ალექსანდრე ხახანაშვილს ამ მეც-  
ნიერულ ნაშრომებს თანამედროვე მიღწევათა დონიდან ვა-  
დავცქერათ. ძნელი შეაძინევი აღარაა. რომ ალექსანდრე ხა-  
ხანაშვილის ცდები. მოეცა ფეოდალური ინსტიტუტების  
ტერმინოლოგიური დახასიათება. არაწორი და აქემატური იყო  
ხშირად.

აღსანიშნავა ისიც. რომ ადრეული ეტაპებიდან მოყოლე-  
ბული ფეოდალურმა ურთიერთობებმა რამდენიმე ფაზა განე-  
ლეს. ისტორიის მსვლელობაში ეს იყო განსხვავებული ეტაპე-  
ბი. რომლებიც საკმაოდ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. გასა-  
გებია, რომ ეს ეტაპები შეაბამისი ფეოდალურა ინსტიტუტე-  
ბითურთ განსხვავებულ პოლიტიკურ წყობილებას წარმოშობ-  
დნენ.

ალექსანდრე ხახანაშვილი კი საცხებით შექანიტურად. ერთ-  
მანეთის გვერდით ახასიათებდა ფეოდალური ხანის ისეთ პო-  
ლიტიკურ ინსტიტუტებს. როგორც იყო: მამფალი. პიტიაქში.  
მარზპანი და ამავე დროს სარდარი. ქეთხუდი, ჩოხანბეგი.  
სუფრაჯი და სხვ.

სინამდვილეში ფეოდალური ინსტიტუტების ამგვარი შე-  
წავლა არ შეიძლებოდა. და ეს იმიტომ, რომ ალექსანდრე ხახა-  
ნაშვილის მიერ განხილული პოლიტიკური ინსტიტუტების  
ერთი ნაწილი აღმოცენებული იყო ფეოდალიზმის წარმოშო-  
ბისა და განვითარების ხანაში. მაშინდელ სოციალ-პოლიტი-  
კურ ვითარებაში, ნაწილი — ფეოდალურ ურთიერთობათა მო-  
წიფულობის ხანაში, ნაწილი კი — მისი რღვევისა და პოლიტი-  
კურად განსხვავებულ ვითარებაში.

თუმცა ჩვენ საგანგებოდ ვეხებოთ ალექსანდრე ხახანაშვი-

ლის განხილული გამოკვლევების ნაკლოვან მხარეებს, მაგრამ არშემჩნევა იმ პირობებისა, რომლებიც იმდროინდელ მეცნიერულ აზროვნებაში ასეთ ნაკლოვანებებს წარმოშობდნენ, საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომა იქნებოდა.

როდესაც ვსაუბრობთ ალექსანდრე ხახანაშვილის ამ ნაშრომების სუსტ მხარეებზე. პირველყოვლისა უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

ნაწილი ნაკლოვანებებისა მომდინარეობდნენ იმ პრინციპულად არასწორი მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან, რომლებზედაც ფეოდალიზმის არსის გაგებისას იღგა თანადროული ევროპისა და რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია. ამათ პოზიციებს კი ფეოდალიზმის არსის გაგებაში ალექსანდრე ხახანაშვილი სავსებით იზიარებდა და თავის ნაშრომებში უცვლელად გადმოჰქონდა.

ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარსული საუკუნის დამლევისათვის ქართული საისტორიო მეცნიერება ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იმყოფებოდა. ისტორიული წყაროების დიდი, ნაწილი კვლავ გამოუცემელი ან ცუდად შესწავლილი იყო.

ამავე დროს მაშინდელი მკვლევარები უფრო მეტად საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ფაქტებს ეტანებოდნენ. ძირითადში მათ აინტერესებდათ ჩვენი ისტორიის ის ეტაპები, როცა ქართველებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ ერთიანი ძლიერი სახელმწიფო. გვიანფეოდალური საქართველოს ისტორია კი, რამდენადაც ეს პერიოდი დაცემულობის და რეგრესის ხანად მიაჩნდათ, ნაკლებად იმსახურებდა მათ ყურადღებას, და ასიც იმ შემთხვევაში, თუ წარსულის ამ მონაკვეთში მოიძებნებოდა დროებითი აღმავლობა — წარმატებისა ან პატრიოტული ბრძოლის ფაქტები. სოციალ-ეკონომიური ისტორიის კვლევა კი მინებებული იყო თითქმის და მის შესასწავლად მნიშვნელოვანი არაფერი კეთდებოდა.

ამიტომაც, რაგინდ სქემატური და ზერელე არ უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ხახანაშვილის ეს ნაშრომები, ისინი მაინც აშკარად მოწმობდნენ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში თანდათან ექცეოდა ყურადღება ისეთ ბრობლემებს, როგორცაა

ფეოდალური ხანის სოციალური და ეკონომიური ისტორიის საკითხები.

ქართული ფეოდალიზმის შეაწავლაში ალექსანდრე ნახა-ნაშვილის მეცნიერული დეაწლის დახასიათებისას სამართლიანად წერს პროფესორი ვ. გაბაშვილი: „ქართული ფეოდალიზმის პრობლემებზე ყურადღების გამაბვილება ალ ზანანაშვილის ნაშრომებში... უეკველად მნაშვნელოვანი მოვლენა იყო იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში, რამდენადაც ქართველ ისტორიკოსთა დიდი უმეტესობა იმ დროს არ სცნობდნენ ფეოდალიზმს არაებობაა საქართველოში“.

გარდა აღნიშნულ გამოკვლევებისა, თავიდანვე შეუძლებელ ინტერესს იწვევდა ალექსანდრე ზანანაშვილი ის ნაშრომები, სადაც მოთხრობილი იყო საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ისტორიაზე.

ამ მხრეც აღსანიშნავია პოპულარული წიგნი საქართველოს ისტორიის შესახებ, რომელიც ალექსანდრე ზანანაშვილმა საგანგებოდ დაწერა ფრანკულ ენაზე პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის.

პარიზის ეს გამოფენა გაიხანა 1900 წლის ზაფხულში და მან მსოფლიო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო.

გამოფენა მიზნად ისახავდა ეჩვენებინა, თუ რა სულიერ და მატერიალური ძალით ეგებებოდა კაცობრიობა ახალ საუკუნის დააწყებას.

პარიზის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო თათქმის ყველა ცივილიზებულმა სახელმწიფომ. უზარმაზარ პავილიონებში ყველგან გამართულ იყო ფართო სტენდები და თვითთულ ერს, რომელიც ამ გამოფენაში მონაწილეობდა, კაცობრიობის წინაშე სურდა თავიანთ მღწეულები მთელი სიარტულით გამოეჩინა. მათ თავიანთ პავილიონებში გამოფენილი ქონდათ არა მარტო სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მიღწევები. არამედ ის დიდძალი ლატერატურული და ნივთიერი მასალა, რომელიც მნახველებს ნათულ წარმოდგენას შეუქმნიდა ამ ერის როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალ-ეკონომიურ ისტორიაზე. მის ეთნოგრაფიასა და კულტურაზე. ერთი სიტყვით, ამ ერებისათვის ეს გამოფენა იმისი დემონსტრაცია

„უკანა“ და შეიტანეს მათ კაცობრიობის ხორციელი და გონებრივი კანკითარების საღაროში.

ამ კამოფენაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოც იოქმზადა. მართალია, მას არ გააჩნდა იმისი საშუალება, რომ ამოფენაზე ისეთი გრანდიოზული ეკონომიური წარმატებებით წარმოდგარიყო, როგორც ევროპის. ამერიკისა და აზიის ზოგიერთი ქვეყანა. მაგრამ მასში მაინც მიიღო მონაწილეობა და ჯარტო ეს ფაქტიც კი ურიცო საქმე არ იყო იმ პატარა ერის პოლიტიკური პრესტიჟისათვის. რომელსაც ის-ის იყო ფეხი ედგა ბუროკრატიული ცივილიზაციის გზებზე გაასვლელად.

აი, სწორედ ამ კამოფენისათვის დაწერა ალექსანდრე ხახანაშვილმა წიგნი საქართველოს ისტორიაზე, რომელიც ზემოთ განსახუთ და რომლის სათაურიც იყო: „Histoire de Geor-  
gien“.

ეს წიგნი პოპულარული ენით მოუთხრობდა უცხოელ ქვათცვებს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან ჩვენი საუკუნის დამდეგამდე. მკითხველს ეს წიგნი საქმაო წარმოდგენას უქმნიდა იმ უაღრესად საინტერესო კულტურული და პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ. რომელიც ქართველობას გარდახდენია საუკუნეთა მანძილზე.

ალექსანდრე ხახანაშვილის „საქართველოს ისტორიაში“ განსაკუთრებით დიდ ადგილი ეთმობოდა ქართულ კულტურასა და მწერლობას.

წიგნი ლამაზად იყო გაფორმებული: თან ერთვოდა ისტორიული პერსონაჟების სურათები: წმინდა ნინო, დავით აღმაშენებელი. თამარ მეფე, ერეკლე მეორე, დავით ბატონიშვილი. მოთა რუხთაველი. სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, კრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, მამია გურიელი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეკატერინე გაბაშვილი. ნიკო ნიკოლაძე, დავით ჩუბინაშვილი. დიმიტრი ბაქრაძე. ამავე წიგნში მოთავსებული იყო საქართველოს პეიზაჟები და ისტორიული ძეგლების სურათები.

ჩვენ არ შევუდგებით ალექსანდრე ხახანაშვილის დასახელებული ნაშრომის შინაარსის გადმოცემას და მის კრიტიკულ განხილვას; აღვნიშნავთ კი, რომ ამ სასარგებლო წიგნით პარი-

ზის გამოფენაზე ჩასულმა მრავალმა უცხოელმა ბევრი რამ შეიტყო ქართველი ხალხის წარსულიდან.

წიგნი დაიბეჭდა ქართული გამოფენის მომწყობთა მიერ. ნაშრომის 800 ცალი უფასოდ დაურიგეს ევროპის სახელმწიფოებს. „საქართველოს ისტორიის“ დასახელებული გამოცემა ყველამ დიდი სიამოვნებით მიიღო და წაიკითხა. გამომცემლებმა კი 150-მდე მადლობის წერილი მიიღეს.

ქართული სამეცნიერო ჟურნალი „მოგზაური“ საგანგებოდ იტყობინებოდა, რომ ასეთნაირი მადლობის წერილები გამომცემლებისათვის გამოეგზავნათ: „აფრანგეთის პრეზიდენტს, იტალიის, ავსტრიის და ინგლისის სამხედრო უმაღლეს პირებს და ბევრიც კიდევ სხვადასხვა მსწავლულებს და მწერლებს. ყველა მადლობას უთვლის და სწერენ: „წავიკითხეთ და კიდევაც წავიკითხავთ ამ მშვენიერი ქვეყნის აღწერასა“.

გარდა ზემოთგანხილული წიგნებისა ალექსანდრე ხახანაშვილი ცდილობდა საქართველოს ისტორიის მთლიანი სურათი სხვა ნაშრომებშიაც მოეცა, რომელთაგანაც პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მისი გამოკვლევები თუ მიმოხილვები: „საქართველო. ისტორიული ნარკვევი“ (1901), „საქართველოს წარსული“ (1901), „საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა მე-13 დან მე-18 საუკუნის ჩათვლით“ (1901). „არიან თუ არა ქართველები კათოლიკები. პასუხად სომეხ პწერალს სარუხანს“ და სხვა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ალექსანდრე ხახანაშვილი იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, რომელმაც თავისი დროისათვის არა ერთი ღრმა მეცნიერული ნაშრომი უძღვნა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორია საშუალო საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე მე-20 საუკუნის დამდეგამდე.

ცნობილია, რომ საქართველოს საშუალო საუკუნეებში აწლო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მეზობელ ქვეყნებთან. ერთ-ერთი ანეთი ქვეყანა რუსეთი იყო.

ქართველთა და რუსთა ურთიერთობის ისტორია შორეულ წარსულში, საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური აღმავლობის პერიოდში დაიწყო.

ალექსანდრე ხახანაშვილი მიუთითებს, რომ ქართველებსა და რუსების პირველი გაცნობა ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში დაიწყო. მე-12 საუკუნეში ამ ურთიერთობათა ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თამარ მეფის დაქოწინების ფაქტი ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟზე - იურიზე.

საქართველოსა და რუსეთის შემდგომ დაახლოებას ხელშეუშალა თათართა ბატონობამ, რომელიც ამუხრუჭებდა რუსეთის ზრდას ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით.

ძნელბედობის ხანა დამდგარიყო საქართველოშიც:

რუსულდანის მეფობის დროს. მე-13 საუკუნეში, ქვეყანამ მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევა განიცადა. მე-14-15 საუკუნეთა მიჯნაზე კი იგი იქცა თემურ-ლენგის ბარბაროსული თარეშის არედ.

ანალოგიური ბედი ეწია საქართველოს მე-17 საუკუნის დასაწყისში. შაჰ-აბას I-ის ველური გეგმების გამო.

ამ საშინელ აობრებათა ეპოქაში, განსაკუთრებით კი თურქთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების (1453 წ.) შემდეგ, საქართველო რჩებოდა ერთადერთ ქვეყნად მამადაღანურ სახელმწიფოთა რკალში, რომელმაც ქრისტიანობა შეინარჩუნა.

ამასობაში საქართველო, რომელიც საგარეო ურთიერთობას სფეროში თავისი პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ძალებს ეძებდა, დაუახლოვდა მოსკოვის სახელმწიფოს. ამ უკანასკნელმა კი უკვე მოცილა თათართა ბატონობის მძიმე უღელი და თანდათანობით უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა.

ელჩობათა და მდიდარი საჩუქრებთა გაცვლა-გამოცვლა რუსეთის ხელმწიფეთა და ქართველ მეფეთა შორის თანდათან ამზადებდა ახალ პოლიტიკურ შედეგებს.

1564 წელს, კახეთის მეფე ლევანი. პირველი ქართველ

ხელმწიფეთა შორის. რუსეთის მბრძანებელმა ივანე მეოთხემ მიიღო „მფარველობაში“.

ხოლო შემდგომ პერიოდში — რუსეთში თევდორეს, კახეთში კი ალექსანდრე მეორის დროს დაწყებული ურთიერთობა განმტკიცდა წერილობითი აქტითაც, რომელიც ამყარებდა ურთიერთობას მოსკოვსა და საქართველოს შორის. და თუმცა საქართველოს მიმართ რუსეთი ნომინალურა პროტექტორატით კმაყოფილდებოდა მხოლოდ, თევდორე მეფემ უკვე ისწრაფა და თავის ტიტულატურას მიუმატა შემდეგი გამოთქმა: „ხელმწიფე ივერიის მიწა-წყლისა და ქართველი მეფეებისა“.

დაახლოებით ასეთი ხაზითისა იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მე-17 საუკუნეშიაც.

ერთი სიტყვით. ორ საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის ურთიერთობამ რუსეთსა და საქართველოს შორის შედეგად ის გამოიღო, რომ საქართველოს მეფეთა მიმართ რუსეთის მთავრობამ მოიპოვა ხელმწიფობის ნომინალური უფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა რუსეთი არც ერთხელ არ ეცადა თავისი სიუზერენული უფლებების განხორციელებას და რეალურად არც გარეშე მტრებთან ბრძოლაში დახმარებია საქართველოს. და აი. მხოლოდ მე-18 საუკუნეში, განსაკუთრებით კი მეფე ერეკლე მეორის დროს. ადგილი ჰქონდა იმ სერიოზულ პოლიტიკურ ფაქტებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს რუსეთის დამკვიდრებას საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში.

1783 წელს ეს ურთიერთობები დაგვირგვინდა ვეორგიევსკის ტრაქტატის დადებით, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გამოცხადდა რუსეთის იმპერიის პროტექტორატში.

სწორედ ასეთ პირობებში თურქეთის მიერ მხარაბმული ავარიელი ომარ-ხანისა (1785) და სპარსეთის შაჰის ალა-მაჰმად ხანის (1795) საზარელი შემოსევების მეოხებით, თავადურ შინა ომში ისედაც დასუსტებული ქვეყანა სრული განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ამგვარი იყო ფაქტიური ვითარება. როდესაც ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ გიორგი XII (1798 — 1800), დახმარებისათვის მიმართა რუსეთის ხელისუფლებას. სულ მალე რუსეთის მთავრობამ მოსპო ქართლ-კახეთის პოლიტიკური და-



მოუკიდებლობა და იგი თავისი უზარმაზარი იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად გადააქცია.

გავიდა დრო.

რუსეთმა საქართველოს დანარჩენი მხარეები და მთელი კავკასიაც კი შეიერთა თანდათანობით.

ალექსანდრე ხახანაშვილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს მიუძღვნა ნაშრომები: „საქართველო. ისტორიული მიმოხილვა“ (1899), „მეფე ვახტანგ მეექვსე და იმპერატორი პეტრე დიდი“ (1899), „საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი“ (1901), „საქართველოა შეერთების შესახებ იმპერატორ პავლე პირველის მანიფესტის ასი წლისთავისათვის“ (1900), „იურიდიული აქტები, რომლებიც ეხებიან საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავს“ და სხვ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ზაინტერესო იყო ალექსანდრე ხახანაშვილის მონოგრაფია მიძღვნილი იმერეთის უკანასკნელი მეფის პოლომონ მეორისადმი. რომელიც 1912 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში — „სოლომონ მეორე“ ვრცლად აყო განხილული რუსეთისა და იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს ალექსანდრე ხახანაშვილი ხშირად ეხებოდა ხოლმე აგრეთვე თავის პუბლიცისტურსა და კულტურის ან მწერლობის ისტორიის საკითხებზე დაწერილ ნაშრომებში.

როგორც ცნობილია მე-19 საუკუნის ბოლო ხანებიდან ორიენტალისტური მეცნიერების სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართველი ხალხის წარმოშობისა (ეთნოგენიზის) და მისი უძველესი ისტორიის საკითხების შესწავლასაც.

ჩერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოითქვა შეხედულება, რომ ენით, ანთროპოლოგიური და სხვა ეთნიური ნიშნებით ქართველური მოღვაძე არკვეულ ჩგუფს განეკუთვნება და ახლო ნათესაობას ამჟღავნებს იმ ტომებთან. რომლებიც შორეულ

ისტორიულ ეპოქაში დიდა რაოდენობით მოაახლეობდნენ კავკასიაში. მის სამხრეთით და მცირე აზიაში.

ამ ღროსთვია ძველ აღმოაგვლეთა ისტორიის წყაროები ჯერ კიდევ აუტყდა იყო შეაწავლილი და ამო გამო ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის კონცეფციის გაშლით დასაბუთებას მეცნიერები ცდილობდნენ უმთავრესად იმ ცნობებით, რომლებსაც გვაწვდიდნენ ბერძნული და ლათინური წყაროები, ბიბლიის აათანადო ადგილები და ნაწილობრივ — შედარებითი ენათმეცნიერული (კერძოდ ეთნო და ტოპონიმიკური) თუ ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური ცნობები. ამაა მე-19 ს. ბოლო მეოთხედში დაემატა მრავალი ძველადმოაგვლური: ასურული, ურარტული წყაროც.

ქართველთა უძველესი ისტორიის პრობლემებს მიუძღვნა ალექსანდრე ხაანაშვილმა ცნობილი ნაშრომი: „ქართველთა განსაზღვრების უძველესი აზღვრები მცირე აზიაში“. სადაც იგი არსებული წყაროებისა თუ დიდძალი სპეციალური ლიტერატურის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე შეეცადა წარმოედგინა ქართველ ტომთა სამხრეთში განსაზღვრების უძველესი სურათი.

მეცნიერის აზრით, კოროხიდან პალისამდე მდებარე ზოლის გეოგრაფიული საბუნების და ვანის (ე. ი. ურარტუს) წარწერათა ენის ქართულთან ნათესაობა გვიმტკიცებს, რომ ქართველ ტომთა უძველესი განსაზღვრების არეალი მოიცავდა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებს. შედეგში კი ამ ადგილებიდან დაიწყო ქართველურ ტომთა მიგრაცია ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. აწორედ ასეთი მიგრაციით უნდა მომხდარიყო ქართველთა მიერ მტკვრის, რიონის და კოროხის აუზების დაკავება. მეცნიერი გამოთქვამდა აზრს, რომ თანამედროვე ტერიტორიაზე ქართველები უნდა მოსულიყვნენ ძველი წელთაღრიცხვის მე-9-მე-7 საუკუნეებში.

ალექსანდრე ხაანაშვილის ეს გამოკვლევა მეტად საინტერესო ნაშრომს წარმოადგენდა. მასში დამუშავებული იყო ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის კონცეფცია, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფია დიდხანს იზიარებდა და თავი-

სი დროისათვის წარმოადგენდა თვალაჩინო მეცნიერულ მონაპოვარს. ამ კონცეფციას ალექსანდრე ხახანაშვილი სხვა ნაშრომებშიაც იცავდა.

დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ ალექსანდრე ხახანაშვილის ისტორიოგრაფიული შემოქმედების ზოგიერთ არსებითი მხარე, მაგრამ მას გააჩნია მეორე მხარეც, რომელიც მისი შემოქმედების სრულად გასათვალისწინებლად მეტისმეტად მნიშვნელოვანია.

\* \*

საქმე იმაშია, რომ საქართველოს ისტორიის მრავალმხრივი მეცნიერული გაგება მკვლევარისაგან იმთავითვე მოითხოვდა უადრესად ფართო ხასიათის მუშაობას საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებზეც. ალექსანდრე ხახანაშვილი ითვალისწინებდა შემდეგს: წარაუღოს შესახებ მეცნიერულად გამართული წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა საინტორაო წყაროების სწორი კრატიკული შეფასება, ე. ი. პირველ რიგში მათი წარმოშობისა და ღირსება-საანდრობის გათვალისწინება.

ამ თვალაზრისით უდგებოდა იგი კერძოდ ისეთ ძეგლს, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“.

მე-19 საუკუნის ქართველოლოგიურ მეცნიერებაში „ქართლის ცხოვრების“ პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო. ამიტომაც ამ ძეგლს მრავალი მეცნიერი იკვლევდა. მაგრამ მისი შესწავლა აზღებური მეთოდებით მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგიდან დაიწყო ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამედროვე მეცნიერების შრომებით. „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი შესწავლა წარმატებით გრძელდება დღესაც.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს სხვადასხვა ხანებში შედგენილ ისტორიულ ნაწარმოებების კრებულს. მასში შესულია რამდენიმე ავტორის მეტნაკლები ცვლილებებით შემონახული თხზულება. სადაც აღწერილია ქართველობის თავგადასავალი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. „ქართლის ცხოვრებაში“ ეს თხზულებები დალაგებულ-

ლია მათში მოთხრობილ ამბავთა მიხედვით, ისე, რომ მოცემულია ქართველთა ისტორიის მთლიანი სურათი.

ქართველთა გაბმული ისტორიის ამსახველ ამ კრებულში შემავალი თხზულებები სხვადასხვა დროსაა დაწერილი და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლიტერატურული და მეცნიერული ღირებულებით.

დღეისათვის სავსებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნუსხა ჩამოყალიბდა მე-11 საუკუნეში.

მაგრამ შემდეგ ხანებში შუა საუკუნეების წავლულებს ახალ-ახალი თხზულებების ჩამატებისა და ტექსტის შესწორებათა გზით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეჰქონდათ ამ საისტორიო კრებულში.

ასე იქმნებოდა „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხები. ცნობილია, მაგალითად, ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ნუსხა, რომელიც მე-18 საუკუნეს განეკუთვნება. ამ ხელმწიფის ბრძანებით მის თანამედროვე წავლულებს, რომლებსაც ხელთ ჰქონიათ „ქართლის ცხოვრების“ აღრეული ხელნაწერები, მოუშველებიათ ახალ-ახალი წყაროები და შეუქმნიათ „ქართლის ცხოვრების“ თავისებურად განახვავებული რედაქცია. ეს უკანასკნელი ცნობილია ვახტანგისეული ნუსხის სახელით.

მე-19 საუკუნის მიწურულამდე მეცნიერებისათვის ცნობილი არ იყო ვახტანგის რედაქციაზე აღრეული ვარიანტი, ამჟამად კი უკვე აღმოჩენილია „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე უძველესი ნუსხა.

ასეთ პირობებში, როცა ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ იყო ეს უძველესი ხელნაწერები, მკვლევარებს განსაკუთრებით აინტერესებდათ „ქართლის ცხოვრების“ შექმნის თარიღის დადგენა ამავე დროს მათ სურდათ გაეგოთ, თუ რა მეცნიერული ღირებულებისა იყო ამ ძეგლში დაცული ცნობები.

გარკვეულ დრომდე მკვლევართა ერთი ნაწილი აღიარებდა, რომ „ქართლის ცხოვრება“, როგორც მთლიანი საისტორიო კრებული, შექმნილია მხოლოდ მე-18 საუკუნეში; მეცნიერთა იგივე ნაწილი ამტკიცებდა, რომ, მიუხედავად ამისა

„ქართლის ცხოვრება“ შექმნილია ადრინდელი წყაროების საფუძველზე და იგი ძვირფას ცნობებს შეიცავს ქართველებისა და მათი მეზობელი ხალხის ძველი ისტორიის შესახებო.

მკვლევართა ძირითადი ნაწილი კი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ „ქართლის ცხოვრება“ შექმნილია საკმაოდ ძველი თხზულებების საფუძველზე არა მე-18 საუკუნეში, არამედ უფრო ადრეულ ხანაში.

დავა „ქართლის ცხოვრების“, როგორც მთლიანი ძეგლის, ჩამოყალიბების დროის შესახებ განსაკუთრებულად გაძლიერდა მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიანათვის.

ამ პრობლემების განხილვას მიეძღვნა ალექსანდრე ხახანაშვილის გამოკვლევა „ქართული მატიახის დასაწყისის“ შედგენილობა და წყაროები“.

ეყრდნობოდა რა იმ ახალ ფაქტებს, რომლებიც ცნობილი ვაბდნენ წარსული საუკუნის ბოლო მეოთხედიანათვის, როცა აღმოჩენილ იქნა დიდმნიშვნელოვანი ანტიკური დოკუმენტები: „ქართლის ცხოვრების“ მარჯვნივ დედოფლისეული ნუსხა. „ქართლის მოქცევის მატიახე“ (მე-9 ს.), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონანთა“ (მე-11 ს.) და „მესხური დავითნის ქრონიკა“ (მე-16 ს.). ალექსანდრე ხახანაშვილი ამტკიცებდა: ქართულ მატიახეთა არსებული ნუსხების ერთმანეთთან შედარება, რომლებმაც თუმცა ვაიარეს ვახტანგის ხელში, მაგრამ არსებითი ცვლილებები არ განიცადეს, თვალნათლივ ამტკიცებს. რომ „ქართლის ცხოვრება“ არის კომპილაცია. იგი ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსემდეგ შეუდგენიათ ძველი ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე. ამ დოკუმენტებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ: ქართლის მოქცევა, სუმბატის ქრონიკა და მესხური დავითნის მინაწერები. სადაც ასახულია სამცხე-საათაბაგოს ისტორია 1561 — 1587 წლებში.

თავის მსჯელობას ალექსანდრე ხახანაშვილი შემდეგნაირად ამთავრებდა: ზემორე ფაქტების შუქზე უკვე შეუძლებელია „ქართლის ცხოვრება“ ბუნდოვან წყაროდ ვიცნოთ და მან მეცნიერთა თვალში უნდა მიიღოს სამართლიანი შეფასება.

„ქართლის ცხოვრების“ პრობლემათა წრიდან ალექსანდ-

რე ხახანაშვილმა ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში განიხილა თე-  
მა -- „კვალი საერთო პოეზიისა ქართლია ცხოვრებაში“.

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ. რომ საქართველოა ისტორი-  
ის წყაროთა შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალექ-  
სანდრე ხახანაშვილის მიერ მიქელ პანარეტოის „ტრაპიზონის  
ქრონიკის“ გამოცემას.

ცნობილია, რომ მე-13 საუკუნის დამდეგა, 1204 წელს შა-  
ვი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მცირე აზიაში.  
ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო-ტრაპიზონის იმპერია. უძ-  
ველესი დროიდანვე ამ სახელმწიფოა ტერიტორიაზე უმთავ-  
რესად მოსახლეობდნენ ქართველური ტომები -- ქანები. რაც  
შეეხება ბერძნებს, ისინი ზღვიანობა ქალაქებში ცხოვრობ-  
დნენ და შეადგენდნენ გაბატონებულ მაღალ წრეს. მაგრამ  
ამ მაღალი წრის ფენაშიც ქართული მოსახლეობა საკ-  
მაოდ მრავალრიცხოვანი იყო.

ძველთაგანვე ტრაპიზონი და მისი მეზობელი მხარეები ტე-  
რიტორიულად ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში შედიოდა.

ბიზანტიის იმპერიის შინაგანი ღრმა ფეოდალიზაცია და ის  
ჟაქტი, რომ ტრაპიზონში ძირითადად ქართველური მოდგმის  
ხალხი -- ქანები ცხოვრობდნენ, დიდი ხანა ქმნიდა იმპერი-  
ისაგან ამ მხარის სრული გამოცალკეება პირობებს.

თურქ-სელჯუკების მცირე აზიაში ღამკვლავების დრო-  
დან, ე. ი. მე-11 საუკუნიდან, იმპერიის სამფლობელოები, რომ-  
ლებიც ძველთაგანვე შეადგენდნენ რომაულ პროვინციას --  
პონტოს. იკონიის სასულტნოს მიერ მოწყვეტილნი აღმოჩნდ-  
ნენ ბიზანტიის ძირითადი ნაწილისაგან. ასეთ პირობებში  
იმპერიის ამ პროვინციის მმართველი ფეოდალები წარმატებით  
ახერხებდნენ ხოლმე სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას.

მე-13 საუკუნის დამდეგს ტრაპიზონის მხარეში დაჰკვიდრ-  
და კომნენების დინასტია. რომელიც აქ მმართველობდა ორ-  
ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე პირველისა და მისი  
ძეების დაღუპვის შემდეგ (1185) დამხობილი სახლის მომხრე-  
ებმა შეძლეს გადაერჩინათ უფლისწულ მანუილის ვაჟიშვილე-  
ბი -- დავითი და ალექსი.

1204 წელს კი, ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის ახლო პერიოდში, საქართველოს მხედრობამ ძლევამოსილი ლაშქრობა ვადაიხადა დასუსტებული ბიზანტიის არმიასთან.

საქართველოს მთავრობამ მფარველობა გაუწია კომნენტა აავგარეულოს წარმომადგენლებს და ისინი სათავეში ჩაუყენა ახალ შექმნილ ტრაპიზონის იმპერიას. ბიზანტიის არმიის დამარცხებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ კომნენტები ამ მხრიდან იყვნენ წარმოშობილი და აქაური ძირითადი მოსახლეობაც თანაგრძნობით იყო გამსჭვალული მათდამი.

ტრაპიზონის იმპერიამ, რომლის ცხოვრებაშიც ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა საქართველო. ორ-ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იარსება და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წინა აზიის ისტორიაში.

უცხოელ სახელმწიფოებთან ბრძოლებში მოქანცულმა ტრაპიზონის სახელმწიფომ დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა მხოლოდ მე-15 საუკუნეში, როდესაც, 1461 წ. მისი ტერიტორია ოსმალეთის იმპერიამ საბოლოოდ დაიპყრო.

ზემოთ დასახელებული მიქელ პანარეტოსის ქრონიკა არის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ტრაპიზონის ისტორიისათვის: იგი მოიცავს პერიოდს 1204-დან 1426 წლამდე. ხოლო ამ წყაროს მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია ტრაპიზონის ისტორიაზე თანმიმდევრული და საფუძვლიანი მსჯელობა.

ალექსანდრე ხახანაშვილისეული პუბლიკაცია წარმოდგენდა მიქელ პანარეტოსის თხზულების რუსულ თარგმანს, ხოლო ბერძნული ტექსტი გადმობეჭდილი იყო გერმანელი მეცნიერის ფალმერაიერის გამოცემიდან. დასახელებულ გამოცემას ალექსანდრე ხახანაშვილმა დაურთო ვრცელი წინასიტყვაობა და მრავალი ძვირფასი კომენტარი. ალექსანდრე ხახანაშვილმა ვრცლად გამოიყენა ამ საკითხზე არსებული ქართული მასალები და წინამორბედი მკვლევარების კვალდაკვალ კიდევ ერთხელ აჩვენა თუ ტრაპიზონის იმპერიის ცხოვრებაში დღიდან მისი დაარსებისა რა დიდი როლი შეასრულა საქართველომ და ქართულმა სახელმწიფოებრიობამ.

ალექსანდრე ხახანაშვილის იმ ნაშრომებიდან, რომლებიც

ენებიან საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებს, აღსანიშნავია მისი ცნობილი მიმოხილვა „საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების წყაროები“ და სხვ.

ალექსანდრე ხახანაშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს სიძველეთა შესწავლას. მართალია, მისი ნაშრომების მიმოხილვა ამ შემთხვევაში სრულად არა გვაქვს წარმოდგენილი. მაგრამ მაინც საჭიროა მოკლედ შევეხოთ ალექსანდრე ხახანაშვილის შემოქმედების ამ მხარესაც.

ცნობილია, რომ გარდასულ ეპოქათა მატერიალური თუ სულიერი კულტურის ყოველგვარი ნაშთი ისტორიკოსი მკვლევარისათვის წარმოადგენს „სიძველეს“.

ამ „სიძველეების“ მეშვეობით შესაძლებელი ხდება წარმოვიდგინოთ თვით იმ საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაც, რომელმაც შექმნა ისინი. მოკლედ რომ ვთქვათ. მათ გარეშე შეუძლებელია საზოგადოების ისტორიული განვითარების სრულად გათვალისწინება.

როგორც ცნობილია, ახალი ცივილიზაციის ხანაში, აულ რამდენიმე საუკუნის წინათ. მეცნიერება ვანააკუთრებით დაინტერესდა ამ „სიძველეებით“ და გაძლიერებული ენერჯით დაიწყო მათი შესწავლა.

მკვლევართა სისტემატური შესწავლის საგნად იქცა ტაძარ-მონასტერთა ნანგრევები. ხელოვნების ნიმუშები, ძველი წარწერები, სიგელ-გუჯრები, ხატები, იარაღ-საჭურველი. სამეურნეო და სამხედრო ნაგებობანი, ფულები და სხვ.

საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან.

საქართველო სიძველეთა მკვლევარები დიდი გულმოდგინებით ეძებდნენ და სწავლობდნენ წერილობით ძეგლებს.

ჯერ კიდევ 1889 წელს ალექსანდრე ხახანაშვილი ამბობდა: „იმ მძიმე დარტყმების შედეგად, რომლებსაც საქართველო განიცდიდა, წერილობითი ძეგლების დიდი რაოდენობა განადგურდა და სამუდამოდ დაიკარგა ჩვენთვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აზროვნების განვითარებისათვის არახელსაყრელ პოლიტიკურ პირობებშიაც კი, ჩვენ შემოგვრჩა ძვირფასი სულიერი მემკვიდრეობა — 3000-ზე მეტი დასახელების ორიგი-



წალური და ნათარგმნი თხზულება. აქართველოს მომავალი განვითარებისათვის უსარგებლო არაა აღირიცხოს წარსული-საგან ჩაბარებული ეს მემკვიდრეობა. ამავ დროს აუცილებელია იმისი შემოწმება, თუ რამდენად მტკიცეა ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აიგოს კულტურის ახალი შენობა“.

ალექსანდრე ხახანაშვილი თავისი მოღვაწეობის მანძილზე დაუღალავად სწავლობდა ძველ ქართულ ხელნაწერებს.

წარსულ საუკუნეებში სხვადასხვა შინაარსისა თუ დანიშნულების არა ერთი ქართული ხელნაწერი უცხოეთში იქნა გატანილი. ამ გზით ეს ხელნაწერები მოექცნენ იქაური მუზეუმებისა და კერძო კოლექციონერების ხელში.

უკვე მე-19 საუკუნეშივე, როდესაც შედარებით ფართოდ დაიწყო ჩვენი ქვეყნის წარსულია შესწავლა, მკვლევართა წინაშე გადაუდებელ ამოცანად დაისახა აღნუსხვა და შესწავლა იმ ხელნაწერთა საგანძურისა. რომელიც დაცული იყო ამ უცხოურ კოლექციებში.

ალექსანდრე ხახანაშვილი იყო ერთ-ერთი იმ მკვლევართაგანი, რომლებიც სისტემატურად და ენერგიულად ჰკრეფდნენ ცნობებს ააზღვარგარეთ დაცული ქართული სიძველეების, ძირითადად კი ქართული ხელნაწერების შესახებ.

ალექსანდრე ხახანაშვილი ხშირად ჩადიოდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში და დიდი გულისხმიერებით იკვლევდა იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებს.

ამ მიზნით ალექსანდრე ხახანაშვილი 1890 წელს საგანგებოდ გაემგზავრა საფრანგეთში და გარკვეული დროის მანძილზე სწავლობდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს.

მოკლე ცნობები ამ მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ მაშინვე გამოქვეყნდა პრესაში ქართულ ენაზე. დასახელებული კოლექციის უფრო ღრმა შესწავლას ალექსანდრე ხახანაშვილი შემდეგშიაც განაგრძობდა. ამ კვლევის შედეგები მან გამოაქვეყნა კიდევ საგანგებო ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „პარიზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ (1898).

პარიზის დასახელებულ კოლექციაში დათვლია რამდენიმე იშვიათი ხელნაწერი. ამ ხელნაწერებმა თავისი დროისათვის.

დიდი სამსახური გაუწიეს გამოჩენილ ფრანგ მეცნიერ ქართველოლოგს მარი ბროსეს; ამ მასალია დანმარებით მან ხელ. მიხ. ყო ქართული ენის, მწერლობისა და ისტორიის შეწავლა. ბროსემ გაარჩია თითქმის ყველა ხელნაწერი და მათ შესაბამის პრავალი ცნობა გამოაქვეყნა. ეს ცნობები ვახუშტისა მარი ბროსეს შრომებში. განსაკუთრებით კი იმათში, რომლებიც 1827-1837 წლებში იბეჭდებოდა „უტრანო ასიატის“ („სააზიო აზოგადოების ეურნალში“).

ალექსანდრე ხახანაშვილის მიზანი ის იყო, რომ ქართველოლოგია ახალი მიღწევების გათვალისწინებით მოეცა ამ ხელნაწერების არული აღწერილობა. ეს საქმე ალექსანდრე ხახანაშვილმა წარმატებით განაორციელა თავის დროზე.

მის მიერ შეწავლილი ზოგიერთი ხელნაწერი განსაკუთრებით საინტერესოა. ამათ რიცავს ეკუთვნის: ა) აულზან-საბ. ორბელიანის ქართული ლექსიკონი, რომელსაც აქლავს შემდგენლის ბიოგრაფიული ცნობების შემცველი მინაწერი; ბ) „ვეფხისტყაოსნის“ პირები; გ) ვანტანგ მეექვსის ამართლას წიგნები.

ასევე საინტერესოა პარიზის კოლექციაში დაცული ცნობები საქართველოს ისტორიიდან. მისი ავტორია ცნობილი ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელსაც ეს ნაშრომი შეუდგენია 1832 წელს, მარი ბროსეს თხოვნით.

ბროსეს ამ საზოგადოების ახელით წერილი მიუწერა; თეიმურაზისათვის და უთხოვია: რამდენი მეფე იყო საქართველოში გიორგის სახელით და რომელ ხანებში, ხოლო ვანტანგ მეფე ლევანი: ძე. მერამდენე ვანტანგი იყო. გთხოვთ. გვსუწყოთო. ამის საპასუხოდ თეიმურაზ ბაგრატიონს ქართული საისტორიო ძეგლებიდან ამოუკრეფია სათანადო ცნობები მოთხოვნების სახით დაულაგებია და თავაზიანად მიუძღვნა პარიზის „სააზიო აზოგადოებისათვის“.

პარიზისავე კოლექციებში ალექსანდრე ხახანაშვილმა შეიწავლა ის ხელნაწერებიც, რომლებიც შეიცავენ გვიანი დროის საერო მწერლობის ნიმუშებს: „ომანინიანი“, „ბარამინი“, „მირიანიანი“ და სხვ.

საფრანკეთში მეშობის დროს ალექსანდრე ხახანაშვილმა მეცნიერულად გამოიკვლია და აღწერა 25 ხელნაწერი.

ალექსანდრე ხახანაშვილი ეატუმრა ინვლოააც. აქ მან ჰიაკვლია „ბრიტანეთის მუზეუმის“ („ბრიტიშ მიუზიუმ“) წიგნ-  
ააცაეის ქარტულ ხელნაწერებ..

ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები შედარე-  
ბით მცირერიცხოვანი აღმოჩნდა. ალექსანდრე ხახანაშვილის  
სწორი შენიშვნას მიხედვით, ანეთი შედარებითი სიძვირე გა-  
მოწვეული იყო იმითი. „რომ საქართველოს და ინგლისს შო-  
რის ძველად, რუსეთთან შეერთებამდე, მისვლა-მოხვლა არ არ-  
სებობდა, როგორც იტალიასთან და თუნდ საფრანგეთთან“.

ალექსანდრე ხახანაშვილმა აღწერა და გამოიკვლია დასა-  
ხვლებულ მუზეუმში დაცული ხუთი ხელნაწერი (იხ. ბრიტა-  
ნეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, 1905). მათ შორის  
ვანაკუთრებით საინტერესო იყო კრებული, რომელიც შეი-  
ცავდა ადრეული საშუალო საუკუნეების გამოჩენილი სასუ-  
ლიერო მოღვაწეების ცხოვრებათა აღწერილობებს. როგორც  
არკვეოდა, თავის დროზე ეს კრებული უთარგმნიათ იერუსა-  
ლიმში, წმ. საბას ლავრაში.

ალექსანდრე ხახანაშვილი დაუშრეტელი ენერჯით ეძებდა  
ქართულ სიძველევებს იტალიის წიგნსაცავებშიც.

საშუალო საუკუნეებში საქართველოს დასავლეთ ევროპის  
ქვეყნებიდან ყველაზე ანლო ურთიერთობა ჰქონდა იტალი-  
ასთან. აპენინის ნახევარკუნძულის მრავალ კუთხეში ქართულ.  
ლათინურ, იტალიურ, ძველ ფრანგულ თუ სხვა ენებზე და-  
ცულია უამრავი ხელნაწერი, საბუთები და ნაბეჭდი წიგნები.  
რომლებიც მოგვითხრობენ ფეოდალური საქართველოს პოლი-  
ტიკური, კულტურული თუ სოციალ-ეკონომიური ცხოვრების  
მეტისმეტად საინტერესო ფაქტებს.

სწორედ ამიტომ იყო დაინტერესებული ალექსანდრე ხახა-  
ნაშვილი იტალიის არქივებით და წიგნსაცავებით. ეურნალ  
„კვალაი“ მოთავსებული ერთ-ერთი კორესპონდენცია ფართო  
საზოგადეობას ამცნობდა შემდეგს: „ამ ზაფხულს ალ. ხახანა-  
შვილი ლაზარეანთ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფე-  
სორი, სამეცნიერო მივლინებაში იყო იტალიაში. ა. ხახანა-

შვილს უკვე დაუმთავრებია ვატკანის (რომში) არსივით და  
ვალდებულება და დადგალი მასალა შეუგროვებია საქართველო-  
ისტორიისათვის. მას აღმოუჩენია ერთი ფრანგული წიგნი, რომელი  
შეიქმნა საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატის  
თვალსაზრისით. ამ ტრაქტატებში არა უცნობი მუსლიმ-  
ადმოუჩენია“ („ევალი“ — 1900).

ალექსანდრე ხაბანაშვილმა მისთვის ჩვეული ენერჯით  
საგადასხვა ღრის შეისწავლა აგრეთვე რუსეთისა თუ საქართველო-  
ს შორის კოლექციის დაცული მასალა.

ალექსანდრე ხაბანაშვილის ამგვარი მუშაობის სინთეზ-  
წარმოდგენდა ნაშრომები: „რუმინელების მუხეუმი საქათ-  
ვლის ხელნაწერები“ (1892). „მოსკოვის ანთროპოლოგიური ტიპო-  
რაფიის ქართული ხელნაწერები“ (1900) და სხვა. დასახელებული  
ნაშრომები ქართული სამეცნიერო საზოგადოებებსა და  
სამეცნიერო-საგანმანათლებლო ყურადღებას იმსახურებდა.

როდესაც ვმჯავლობთ ალექსანდრე ხაბანაშვილს დამსახურებაზე  
საქართველოს სიძველეების შესწავლის საქმეში. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს მისი ღვაწლი ქართული დიპლო-  
მატიკური მასალის შესწავლა-პუბლიკაციის დარგში.

იურიდიული შინაარსის საბუთები: სიგელებს, სხვადასხვა  
პირთა თუ ორგანიზაციათა მიერ ვაცემულ საქმიან დოკუმენტებს  
და სხვა. სამეცნიერო თვალსაზრისით სწავლობს საგან-  
გებო ისტორიული დისციპლინა, რომელსაც ქართულად ეწოდება  
სიგელთმცოდნეობა. უცხოურად კი დიპლომატიკა. მე-19  
საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოს ისტორიის შევსებ-  
აში უკვე ფართოდ დაიწყეს ანეთი მასალის საგანგებო და-  
მუშავება. ამ დროიდან მოყოლებული ეს მასალა თანდათანო-  
ბით ღრმად შემოვიდა მეცნიერული მხედველობის არეში.

თუ რაოდენ სწორად განსაზღვრავდა ალ. ხაბანაშვილი  
დიპლომატიკური ძეგლების მნიშვნელობას საქართველოს ის-  
ტორიის შესწავლისათვის. კარგადა ჩანს მისი სიტყვებში:  
„ქართლის ცხოვრება“ დუმს ეკლესიის მდგომარეობისა და სა-  
ხელმწიფოსთან მისი ურთიერთობის შესახებ. იგი დღემდე ხალ-  
ხის თანდათანობითი დაყმევებისა და მისი ვალდებულებების  
შესახებ. დუმს აგრეთვე სამეფო ხელისუფლების უფლებათა

ოღენითა და კავლენის შეაჩუბ ქაოტიურად დაშლილ ეკ-  
ოდ-ღურ წყობილებასი. დღმა აკრეთვე ფინანსიერი რესურ-  
სებისა და იმ აღმინიტრაციული ორგანიზაციის შესახებ რო-  
მელსაც ეს ხელაუფლება ეუფძნებოდა. მისი აზრით, საქარ-  
თველთა სოციალური, ეკონომიერი და სახელმწიფოებრივი  
ისტორიის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა  
აეფო ლიბლიმატიური ძეგლების გარეშე.

ალექსანდრე ბახანაშვილმა თავისი ამეცნიერო მოღვაწეო-  
ბის დასაწყისშივე გამოაცა დოკუმენტების ორი კრებული:  
„გეგრისი“ (ქუთაისი, 1891) და „ქართული სათავადაზნაურო  
აქტები და აავარეულო ნუსახები“ (მოაკოვი, 1893). ორივე  
კრებულა შეაანიშნავ მააალს შეიკავლა როგორც თავადაზნა-  
ურობის, აევე კლებობის ისტორიის შესწავლისათვის. დაინ-  
ტერესებულე პირი მა. ში იპოვიდა ძვირფას ცნობება საქართ-  
ველთა ისტორიის სხვადასხვა საკითხებისათვის.

ღღვისათვის, როცა ქართულე საისტორიო მეცნიერება გან-  
ვითარებია სრულიად ახალ ფაზაში იმყოფება, როცა ჩვენი  
წარსულის კვლევა წყაროებია სისტემატიურ- და ღრმა კრიტი-  
კულ შესწავლას ემყარება, ალექსანდრე ბახანაშვილის ზემო-  
ხსენებულე გამოცემები აღარ შეიძლება აკმაყოფილებდეს თა-  
ნამედროვე მოთხოვნილებას. ეს შეეება როგორც საბუთების  
გამოცემა ტექნიკას, იაე მათ კრიტიკულ შესწავლა-შეფასე-  
ბას და კომენტირებას.

მაგრამ ისიც არ უნდა დავიფრწოთ, რომ ქართულ საისტო-  
რიო მეცნიერებაში ალექსანდრე ბახანაშვილმა ერთ-ერთმა  
პირველმა ჩაუყარა საფუძველი ძველი ქართული საბუთების  
შესწავლისა და ისტემატიური გამოცემის დიდმნიშვნელოვან  
საქმეს. აწორედ ამიტომ ალექსანდრე ბახანაშვილის მოოვაწე-  
ობა გარკვეულ საფეხურს ქმნიდა დასახელებულ დარგში და  
აეებდა იმ საფუძველს, რომელსაც შემდგომ ხანიბში უფრო  
მეტე წარმატებით დაეფუძნა ქართული საისტორიო წყაროე-  
ბისა და ჩვენი წარსულია შესწავლის საქმე.

აიძველევებით დაინტერესებულე მკვლევარები საგანგებოდ  
დადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. აწყობდნენ

ე. წ. არქეოლოგიურ მოგზაურობება და ადგილზევე სწავლობდნენ თუ კვრუფდნენ საქართველოს სიძველეება.

როგორც უკვე ვამბობდით. ალექსანდრე ხახანაშვილს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ მისი დროის მეცნიერთა წინაშე დგას გადაუღებელი ამოცანა: შეკრიბონ და დალუპვისაგან იასან მატერიალური და სულიერი კულტურის ის დიდებული ნაშთები, რომლებიც იატორიის მრისხანე ბედს გადაარჩენილან.

ერთ-ერთ წერილში „ჩვენი არხეოლოგია“ (1889) ალექსანდრე ხახანაშვილი ააგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „არხეოლოგიამ დიდი სამსახური გაუწია ძველ ბერძენთა ყოფა-ცხოვრების შესწავლას და მან ჩვენ მხარეაჲც „შუქი უნდა მოჰფინოს“.

უკვე 90-იანი წლებია დამდეგიდან აძველეთა ადგილზე ვაცნობისა და შეაწავლისათვის ალექსანდრე ხახანაშვილი ზმირად მოემგზავრებოდა ხოლმე საქართველოში. ამ სააის სამუშაოს მიუძღვნა მიაი სქელტანიანი გამოცემა — „ექსპედიციებუ კავკასიაში 1892, 1893 და 1895 წწ.“, რომელიც შეიცავდა არქეოლოგიურ აღწერას უმეტეაჲდ აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი საქრისტიანო ცენტრებისა, როგორიცაა: თელავი, გრემი. ნეკრეთი თუ სამშვილდე; შუამთის მონასტერი თუ ალავერდის ტაძარი; ბოდბეს, ხირსისა თუ გიშის არქიტექტურული ნაგებობები. კასრის საყდარი, ქურმუხის ეკლესია, ბახტალოა. ზაქათალისა და ქარის ძეგლები; სამთავისის ეკლესია თუ ლარგვისის მონასტერი; კორინთია, წილკნის. ბოდანოს, მანგლისია, აგარისა და სხვა ძეგლები.

ამგვარი შეაწავლისას, რომელიც ეყრდნობოდა იატორიული მონაცემების უხეად გამოყენებას, ალექსანდრე ხახანაშვილი იხილავდა ხოლმე არა მარტო დასახელებულ ძეგლებს, არამედ ისეთ სიძველეებასც. რომლებიც წარმოადგენდნენ ამ ქრისტიანული ძეგლების მატერიალურ საკუთრებას და მათ სიძალოვეს მოიპოვებოდნენ.

ასეთია ალექსანდრე ხახანაშვილის დამახურება ქართული საქრისტიანო ძეგლებს არქეოლოგიური შესწავლის დარგში. დასასრულს უნდა შევეხოთ იმაჲსაც, რომ თავიაი დროისათვის ალექსანდრე ხახანაშვილი იყო არა მარტო ცნობილი იატორი-

კონს. ალამედ აქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიულ-  
ყოფის დიდი მკოდნეც. ეთნოგრაფიის საკითხებს ალექსანდრე  
ხახანაშვილმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა და მათში თავისი  
დროუათვის ღრმად გააშუქა ბევრი საკითხი.

ალექსანდრე ხახანაშვილის ღვაწლი ეთნოგრაფიაში მჭიდ-  
როდ იყო დაკავშირებული იმ საქმიანობასთან. რომელსაც იგი  
აწარმოებდა ქართული სახალხო ენოსისა და ლეგენდების შეს-  
წავლის ხაზით. მართლაც ზოგიერთ მის გამოკვლევაში, რო-  
მელსაც ჩვენ შევხვდებით დაუბრუნდებით, მეტისმეტად გადამ-  
ლართულია ლიტერატურული და ეთნოგრაფიული კვლევა-  
ძიება.

სწორედ ამგვარ გამოკვლევათა რიცხვს ეკუთვნოდა ალექ-  
სანდრე ხახანაშვილის ნაშრომები: „თუშები“, „მესხები“, „ახა-  
ლი წლის დღესასწაულობა ქართველებთან“. „ქართველთა  
წარმართული რელიგია“, „ლეგენდები თამარ მეფეზე“, „ლე-  
გენდები ალექსანდრე მაკედონელზე“ და ასეა.

ალექსანდრე ხახანაშვილი თავიდანვე იყო დაინტერესებუ-  
ლი სხვა ხალხთა ეთნოგრაფიითაც, რომლებიც კავკასი-  
აში მოსახლეობდნენ. მართალია მას ამ ვხით აღარ უწარმოე-  
ბია შემდგომი მუშაობა, მაგრამ დასახული მიზნის განხორცი-  
ელებისას ბევრი რამ მოასწრო მანც. იაეთი ეთნოგრაფიული  
ნაშრომების გარდა, როგორცაა სტატიები ფშავებზე, მოხევებ-  
ზე, თუშებზე, მესხებზე, სვანებზე და სხვა ალექსანდრე  
ხახანაშვილის ეთნოგრაფიული გამოკვლევა მიძღვნილია აგ-  
რეთვე სომხების, სპარსელების, ქართველი ებრაელების, ბერ-  
ძნებისა და კავკასიაში მრავლად მოსახლე რუსი სექტანტების  
შესახებ.

ჩვენი მოკლე მიმოხილვა მიზნად არ ისახავს ამ ნაშრომე-  
ბის დეტალურ დახასიათებას. მათ მეცნიერულ ანალიზსა და  
შეფასებას, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ხა-  
ხანაშვილის ეს ეთნოგრაფიული გამოკვლევები ყოველთვის  
უდიდეს ყურადღებას იქცევდნენ და მის მრავალმხრივ ერუ-  
დიციაზე მეტყველებდნენ.

როგორც ვხედავთ თავისი მოღვაწეობის მანძილზე ალექ-

სანდრე ხახანაშვილმა თვალსაჩინო ამაგი დაადო ჩვენი ქვეყნის ისტორიული თუ ეთნოგრაფიული შესწავლით საქმეს.

ასეთია ალექსანდრე ხახანაშვილის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობის მოკლე დახასიათება.

## ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული მწერლობის ისტორია

ალექსანდრე ხახანაშვილის მოღვაწეობის დასაწყისშივე მისა მეცნიერული ინტერესების სფერო ფართო და კონკრეტულად ჯერ კიდევ დაუხვეწავი იყო. ამიტომაც ამ პერიოდში მისი შრომები ჯერ კიდევ ერთნაირი მოცულობით ებეზდ. ქართველოლოგიის თათქმის ყველა დარგს.

შემდეგში კი ალექსანდრე ხახანაშვილის კვლევა-ძიებია უმეტესად უფრო შემოიფარგლა და ამიერიდან იგი ქართული სიტყვიერების ისტორიაში მუშაობდა უმთავრესად.

ალექსანდრე ხახანაშვილის ადრეული ხანის ნაშრომებიდან ქართული სიტყვიერების ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი გამოკვლევა: „ქართული თქმულება ალექსანდრე შავედონელზე და სერბული ალექსანდრიანა“ (1893).

ავტორი დასახელებულ ნაშრომში იხილავდა ერთ-ერთ ცნობილი ლიტერატურული ძეგლის წარმოშობას. სადაც შუასაუკუნეებში გავრცელებული ფანტასტიკური სიუჟეტების ქარგაზე მოთხრობილი იყო ალექსანდრე შავედონელის ლეგენდარული თავგადასავალი.

ალექსანდრე ხახანაშვილი ამტკიცებდა, რომ ალექსანდრიანას მის ზელთ არსებული ტექსტი მომდინარეობს ამ ძეგლის ერთ-ერთი სერბული ვერსიიდან, საიდანაც თარგმნილია ქართული ალექსანდრიანა.

შეკვლევარი იმავე ვარაუდობდა. ეს თარგმანი შესაძლოა შესრულებული იყოს არჩილ მეფის მეცადონეობით. როდესაც იგი რუსეთში იმყოფებოდა.

ქართული მწერლობის ისტორიაში ალექსანდრე ხახანაშვილის პირველ გამოკვლევებსავე მიეკუთვნებოდნენ მისი ნაშრომები: „ქილილა და დამანაჰ ქართული თარგმანი შესახებ“.



(1889), „დამატებები ირანულ ეპიკურ ნაწარმოებთა თარგმნათა შესახებ“ (1889), „ქართული თქმულება წმინდა გიორგის შესახებ“ (1892), „ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლები“ (1894) და სხვა.

დასახელებულ გამოკვლევებში ალექსანდრე ხახანაშვილი მიზნად ისახავდა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ურთულესი საკითხების გარკვევას. იგი ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით ვრცლად იაილავდა ხოლმე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლებს. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მწერლობის ისტორიის კვლევას ალექსანდრე ხახანაშვილის ამ ნაშრომებში ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და მისი ღვაწლიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ ცალკეული ლიტერატურული ძეგლების დაკვირვებული შესწავლით.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებისა თუ ცალკეული საკითხების კვლევა-ძიების დროს ალექსანდრე ხახანაშვილის წინაშე თანდათანობით შეიქმნა პრობლემათა დიდი წრე, რომლის დამუშავებაც აუცილებელი იყო ქართული მწერლობის ისტორიის სრული სურათის აღსადგენად.

ასეთ პირობებში ალექსანდრე ხახანაშვილმა გადაწყვიტა შეექმნა განზოგადებული ნაშრომი. სადაც სისტემატური სახით ისტორიულ ასპექტში იქნებოდა განხილული ქართული მწერლობის განვითარების პროცესი.

90-იანი წლების შუა ხანებიდან ალექსანდრე ხახანაშვილი უკვე წინასწარ მოფიქრებული და ერთიანი გეგმით აწარმოებდა ძველი ქართული მწერლობის შესწავლას. ასე შეიქმნა ის დიდი ნაშრომი, რომელიც ალექსანდრე ხახანაშვილმა სრულად გამოაქვეყნა შემდეგში და რომელსაც უწოდა „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“.

ამ ნაშრომში ფაქტიურად შეჯამებული იყო შედეგები როგორც პირადად ავტორისეული, ისე დანარჩენ მეცნიერთა კვლევა-ძიებისა, რომელიც ქართული მწერლობისა და კულტურის შესწავლია დარგში მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე წარმოებდა. მასში განზოგადებული სახით იყო წარმოდგენილი ის წვრილ-წვრილი გამოკვლევები, რომლებსაც ალექსანდრე ხახანაშვილი სწავდასხვა დროს აქვეყნებდა ხოლმე და

რომლებშიაც განხილული იყო ძველი ქართული მწერლობის ცალკეული მომენტები.

ამიტომ, როცა გვსურა დავახასიათოთ ალექსანდრე ბახანაშვილის დეაწლი, ქართული მწერლობის იატორიის შექმნის საზიო, უმთავრესად უნდა შევეთოს ამ ფუნდამენტალურ ნაშრომს.

ალექსანდრე ბახანაშვილის „ნარკვევები“ პირველი ტომი ვაკოვიდა 1895 წელს და იმთავითვე მიიპყრო ქართული აზოგადობის დიდი ყურადღება.

„ნარკვევები“ ამ ტომში განხილული იყო ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები უმეტეს ნაწილად გაფანტული იყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. სადაც ეს მასალა 70-იანი წლებიდან სისტემატურად ქვეყნდებოდა. ნაწილობრივ კი აათი ნიმუშები ჩაწერილი იყო თვითონ ალექსანდრე ბახანაშვილია ხელით საქართველოში მათი მოგზაურობის დროს.

დასახელებულ ნაშრომში ხალხური ზეპირსიტყვიერების მიმოხილვას ალექსანდრე ბახანაშვილი იწყებდა რიტუალური ხასიათის სიმღერათა ნაწყვეტების მიმოხილვით. ამ სიმღერებში, წარმართულ წესებთან შერწყმით ქრიტიანული წმიდანებიც იხსენიებიან.

სიმღერებისა და ჩვეულებათა აღწერისას ალექსანდრე ბახანაშვილი ახასიათებდა იმ ლექსებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული წარმართული ხასიათი. ამასთანავე შედარების მიზნით ალექსანდრე ბახანაშვილი ვრცლად ეახებოდა საქართველოს ახვადახვა კუთხეების ადათ-ჩვეულებებს.

წმიდანთა სადიდებელი, საახალწლო, სამარზვო თუ საადღკომო სიმღერების შემდგომ განხილული იყო საქორწილო და საყოფაცხოვრებო სიმღერები.

დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულ საგმირო ეპოსსაც.

ალექსანდრე ბახანაშვილი მიუთითებდა. რომ ქართველთა

საგმირო სიმღერები უმთავრესად ჯგუფდებოდა ამირანისა როსტომის ირგვლივ.

ამირანი გოლიათების წარმომადგენელია. იგი ანადგურებდა დევებს, სპობს თუ ებრძვის ბოროტ ძალებს და ბაღის ქომავლი ლმერთის წინაშე. ამირანს სურს სიმართლე და წესიერება დაამყაროს დედამიწაზე. რის გამოც ზეცა სასტიკად სჯის მას. იგი მიაჯაჭვეს საყორნიას მთაზე. ამიერიდან ამირანის ამაყ გულს ორბები და ქილყვაეები ჰკორტნიან დღენიადაც.

ალექსანდრე ხაზანაშვილის მიხედვით, ამირანის შესახებ არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც ამირანი ბაღის ვაჰანადგურებელი ბოროტი დემონია. ამ ვერსიის თანახმად ამირანი ებრძვის ლმერთებს.

ალექსანდრე ხაზანაშვილი, ერთმანეთს ადარებდა არა ქართულ არმაზსა და აპარსულ ორმუზს, აგრეთვე ქართულ ამირანსა და სპარსულ არივანს. დააკენიდა, რომ ქართველთა მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია სპარსულმა აზროვნებამო.

რაც შეეხება აიმილერას როსტომზე, ალექსანდრე ხაზანაშვილის მიხედვით ეს ციკლი მიეკუთვნებოდა სხვა ხალხებისაგან. უმეტესად კი სპარსელებისაგან ნასესხებ სიმღერათა ჯგუფს. მისი აზრით სააიმილერო ლექსები კი აქ შეჭრული იყო პროზაიანად.

ამ სიმღერებში მოთხრობილია მძლეოთა მძლე როსტომზე. რომელიც მბოლოდ საგმირო საქმეებისაკენ მიისწრაფვის. „როსტომიანი“ წარმოადგენს უძველეს ირანულ ნაწარმოებს. რომელიც შემდეგში ვადმოუქართულებიან და ხალხში გავრცელებულა.

აქვე ალექსანდრე ხაზანაშვილი ეხებოდა ეპიკური ჟანრის ისეთ ნიმუშებსაც, როგორცაა „ეთერიანი“. „სიმღერა არსენაზე“, „პოემა სოლალზე“ და სხვა.

ისტორიულ სიმღერათა ციკლიდან განხილული იყო სიმღერები თამარ დედოფლისა და ერეკლე მეორის შესახებ. ე. ი. იმ პირთა შესახებ, რომლებიც ქართველი ბაღის საყვარელი პერსონაჟები არიან.

ცალკე იყო განხილული ლირიკული სიმღერებიც. ეს უკა-

ზანკნელები, ალექსანდრე ხახანაშვილის მიხედვით, ებებიან პოეტური ალტკინების საგანს — ქალს. ამ სიმღერებს ზოგჯერ ცხოველთა ეპოსის ხასიათი აქვს. ასეთ შემთხვევაში სატრფო სიმბოლურად მტრედის სახითაა წარმოდგენილი. ირემი ეანასახიერებს შეყვარებულ ქაბუკს. მელა — შეყვარებულთა მოწინააღმდეგე ძალას. დათვი კი უხეშობის განსახიერებაა.

ალექსანდრე ხახანაშვილის ნაშრომში ქართველთა ხალხურ სიმღერები იყოფოდა ორ ჯგუფად: პირველი საკუთრივ ქართული, მეორე კი თათრული. სპარსული და სომხური. რომლებსაც მიღებული აქვთ ქართული სახე. პირველი წყება ხასიათდება ეპიურობით. მეორე კი — ლირიულობით. ამ უკანასკნელში მოთხრობილია ცხოვრების მრავალჯერ მოვლენათა შესახებ. ამავე ჯგუფში კარბობა გულგატეაილთა სატრფიალო ლექსები. რომლებიც ხოტბას ახაზენ ქალის სილამაზეს. ალექსანდრე ხახანაშვილის ამავე წიგნში ვრცლად იყო დახასიათებული ქართული ეპოსის ისეთი მნიშვნელოვანი ქმნილებანი, როგორცაა ზღაპრები.

ეკრძოდ, აქ საგანგებოდ იყო ვარჩეული ზღაპრები მნათობებზე, ბუნების მოვლენებზე, გაქვავებულ ქალაქზე. საშინელ გველეშაბსა და დევებზე.

ალექსანდრე ხახანაშვილი საგანგებოდ ჩერდებოდა ქართული ეპოსის ამ ნიმუშებზე და ცდილობდა მათთვის უცხო ხალხთა შემოქმედებიდანაც დაეძებნა პარალელები.

ავტორი ვრცლად განიხილავდა ქართული ზღაპრებისათვის დამახასიათებელ ნიშანს: ესაა ფარდასახვის მომენტი. მავალითად, ქალიშვილი ძალიან ხშირად გარდასახულია გომბეშოს ტყავში. ადამიანი გადაქცეულია თაგვად, კატად, ზოგჯერ კი — თევზად ან გარეულ მამლად. არცთუ იშვიათად ქართულ ზღაპრებში ქალი გარდაქმნილია ხოლმე გველად. თევზად, მამლად, ნაფოტად, მგლად და ა. შ.

ალექსანდრე ხახანაშვილი ვრცლად ჩერდებოდა ანდაზა-არაკებზეც, რომლებშიაც იგი კვრეტდა მითიურ ელემენტს. ასევე საგანგებოდ ახასიათებდა იგი გამოცანებსაც. რომლებშიაც ალექსანდრე ხახანაშვილი ამჩნევდა მითიური სიმბოლიურობის კვალს. ამ სიმბოლოებში მოვლენები და მნათობები

ძალიან ხშირად გამოყვანილნი იყვნენ ფრინველებად ან ცხოველებად.

ამ საკუთხთან დაკავშირებით ალექსანდრე ხახანაშვილი მუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ქართულ ზღაპარში გამოცანა ამოხანა მარტოოდენ სიბრძნეს კი არ ნიშნავს, არამედ ის სიპართლის საწინდარიცაა. მართლაც, ცნობილია, რომ ქართულ ზღაპრებში სასიკვდილოდ განწირული გმირი ხშირად გამოცანის ამოხანით შეინარჩუნებს ბოლმე სიცოცხლეს.

ამგვარად, ფიქრობდა ალექსანდრე ხახანაშვილი, გამოცანა სიმბოლიურად ღვთის სამსჯავროს წარმომადგენელიაო.

ღასაბრულ, ცალკე იყო განხილული შელოცვები: ავადმყოფობისა, თვალისცემისა, ნადირობისა, სიყვარულისა და სხვა.

ერთი აიტყვიტ, „ნარკვევების“ პირველ ტომში განიხილებოდა ქართული ხალხური ეპოსის ყველა დარგი.

„ნარკვევების“ პირველ ტომშივე ალექსანდრე ხახანაშვილი მკითხველ საზოგადოებას პპირდებოდა: ვანზრახული მაქვს ამაზე არ შევჩერდე და უახლოეს ხანებში გამოვცე „ნარკვევების“ შემდეგი ნაწილები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ქართული მწერლობის მთლიანი სურათი.

მართლაც, ალექსანდრე ხახანაშვილმა დროულად შეასრულა თავისი პირობა და 1897 წელს გამოაქვეყნა „ნარკვევების“ შემდეგი ნაწილი. იგი მიძღვნილი იყო მთლიანად ქართული სიტყვიერების უძველესი პერიოდისადმი.

ცნობილია, რომ თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნის ლებებით ამა თუ იმ ხალხთა მწერლობის ისტორიული სურათი მკიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კონკრეტულ ეპოქათა განვითარებაათან. ამ საფუძველზე ხდება ბოლმე ისტორიის პერიოდისადაც.

მაგრამ დანარჩენ თანამედროვეთა დარად ალექსანდრე ხახანაშვილი არ იცავდა ამ წესს.

აეილოთ, მაგალითად „ნარკვევების“ ეს ნაკვეთი. აქ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილული იყო ქართული მწერლობის ის ნიმუშები რომლებიც მიჩნეული იყო უძველეს ძეგლებად. ქართული მწერლობის ისტორიის პერიოდისადაც

რათვის ალექსანდრე ხახანაშვილი საფუძვლად იდებდა ძეგლების ქრონოლოგიურ-ქანობრივი თანმიმდევრობის პრინციპს. ამიტომაც საძიებელი ხანის მწერლობა იგი მარტივად უწოდებდა „ძველ მწერლობას“.

ანეთი პერიოდშიცაა კი ძალზე პარობრთია და ვერ გვიჩვენებს იმ მყარ ქრონოლოგიურ ფარგლებს. რომლებშიაც უნდა მოთავსდეს მწერლობის ისტორია. კერძოდ ეს პრინციპი განზე სტოვებდა ერთ უცილობელ კემმარიტებას. რომ მწერლობა ისტორიის ეტაპები უმეტეს წილად განისაზღვრებიან ხოლმე ამა თუ იმ ეპოქათა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ტენდენციებით.

„ნარკვევების“ მეორე ნაკვეთში წარმოდგენილი პერიოდისადაც ძველი ქართული მწერლობის არქაული ხანა იყო მე-4 — 12 საუკუნეები.

ალექსანდრე ხახანაშვილია მიხედვით უძველესი პერიოდის ქართული ძეგლები ეკუთვნოდა ჩვენი ხალხს გაქრისტიანების ეპოქას. ამავე პერიოდში ქართული მწერლობის უმთავრესი დარგი სასულიერო მწერლობა იყო. შემდეგში თანდათანობით განვითარდა საერო მწერლობაც, რომელმაც მე-11 — 12 საუკუნეებში განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ქართული მწერლობის უძველესი ხანა დახასიათება დაწყებული იყო აპოკრიფებით. ამ პრინციპს ალექსანდრე ხახანაშვილი იმით ამართლებდა, რომ აპოკრიფები გარკვეულ მსგავსებას და ნათესაობას ამჟღავნებენ აიტყვიერების ისეთ უძველეს დარგთან, როგორცაა სახალხო ეპოსი. აქვე საუბარი ენებოდა სახალხო ეპოსის და ბერძნული. ლათინური. სომხური და სლავური აპოკრიფების ურთიერთობას.

თავის ადგილზე ალექსანდრე ხახანაშვილს განხილული ჰქონდა ქართველთა სულიერი განვითარებისათვის დამახასიათებელი ისეთი დარგებიც, როგორც იყო ლეგენდები და სასულიერო ლექსები.

დასახელებულ ნაშრომში გარჩეული იყო მრავალი, უმეტესად ჭერ კიდევ გამოუცემელი ქართული ძეგლები.

ალექსანდრე ხახანაშვილს მოჰყავდა ამ ძეგლების შინაარსი, შეძლებისდაგვარად მსჯელობდა მათი წარმომავლობისა თუ

შექმნის დროზე და ცდილობდა მათი პარალელებს დაძებნას  
ახვა ხალხთა მწერლობაში.

რომ უფრო მოხერხებული ყოფილიყო ძველი ქართული  
მწერლობის მიმოხილვა, ალ. ხახანაშვილი თავისი პერიოდიზა-  
ციის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე. განსახილველ  
ძეგლებს ჰყოფდა ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. პაგიოგრაფიული,  
2. ისტორიული, 3. საკუთრივ ლიტერატურული და 4. სამეც-  
ნიერო. ღვათისმეტყველური თუ იურიდიული.

საგანგებო თავებით „ნარკვევებში“ ვრცლად იყო დახასია-  
თებული ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, რომელნიც სა-  
პართლიანად წარმოადგენენ ქართული ადრეფეოდალური  
მწერლობის სიამაყესა და მშვენებას.

თავისი დროისათვის განსაკუთრებით საინტერესოდ და  
ღრმად შესწავლილად გამოიყურებოდა ის თავიც, სადაც სა-  
უბარი ეხებოდა ანისტორიო მწერლობის საკითხებს. მაგრამ  
ცენტრალური ადგილი მაინც საკუთრივ ლიტერატურული თან-  
რის ძეგლებს ეთმობოდა.

საუბარი ეხებოდა ფეოდალური მწერლობის ისეთ კორი-  
პეებს. როგორცაა -- მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შავ-  
თელი და ჩახრუბაძე. ალექსანდრე ხახანაშვილი მიუთითებდა,  
რომ დასახელებულ მწერალთა შემოქმედებაში ქართულმა ლი-  
ტერატურამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ქარ-  
თული მწერლობა სწორედ ამ „ოქროს ხანას“ ამშვენებს სა-  
შუალო საუკუნეების უდიდესი პოეტისა და მოაზროვნის შოთა  
რუსთაველის სახელი.

ნაშრომში ალექსანდრე ხახანაშვილი ვრცლად მიმოიხი-  
ლავდა დასახელებული ავტორების შემოქმედებას და მრავალ  
საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამდა.

საგანგებოდ ეხებოდა რა მოსე ხონელის სარაინდო თხზუ-  
ლებას -- „ამირან-დარეჯანიანს“ -- ალექსანდრე ხახანაშვილი  
სამართლიანად მიუთითებდა, რომ თავისი ზოგადი ხასიათით  
ეს თხზულება დიდ მზავსებას ამჟღავნებს დასავლეთ ევროპის  
ეპიკურ-სარაინდო ლიტერატურულ ძეგლებთან. აქვე საგანგე-  
ზოდ ჩერდებოდა იგი „ამირან-დარეჯანიანის“ ორიგინალობის  
საკითხზეც და ზოგიერთი მეცნიერის საწინააღმდეგოდ, რომ-

ლებიც ამ ძეგლს სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებად მიიჩნევდნენ, ალექსანდრე ხახანაშვილი ვრცელი არგუმენტაციით ამტკიცებდა, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ იმთავითვე ქართული ძეგლი იყო.

განხილული იყო სხვა ავტორთა შემოქმედებაც, მაგრამ ყველაზე მეტი ადგილი მაინც დათმობილი ჰქონდა შოთა რუსთაველის და მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხს.

ალექსანდრე ხახანაშვილი იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ შოთა რუსთაველი წარმოშობით მეძახი უნდა ყოფილიყო. ამავ დროს, იგი ვრცლად ეხებოდა პოემის შინაარსს და საფუძვლიანად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინაც ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უცხოურიდან თარგმნილი ძეგლიაო. საგანგებო ადგილი ჰქონდა დათმობილი ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს და ამ საკითხზე მისი მსჯელობა მთავრდებოდა იმ აზრით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის საზეიმო ჰიმნი „სიყვარულისა, სიკეთისა და სილამაზისა“.

უძველესი პერიოდიდან ნაშრომის უკანასკნელ ნაწილში განხილული იყო საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური და იურიდიული ლიტერატურის ისეთი წარმომადგენლების შემოქმედება, როგორიცაა: იოანე პეტრიწი, საბა სინკელოზი, ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, იოვანე ბოლნელი, იოანე გრძელიძე, ანტონ ჭყონდიდელი და სხვა. გარჩეული იყო უცხოური წარმოშობის ისეთი ძეგლებიც, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ქართველთა შორის. ალექსანდრე ხახანაშვილი, პირველ ყოვლისა, ეხებოდა „შატბერდის კრებულში“ მოთავსებულ თხზულებებს: აქვე იურიდიული ლიტერატურიდან განიხილებოდა იანთი ძეგლები, როგორცაა მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები, დავით აღმაშენებლისა და ბაგრატ მეოთხის სიგელები და სხვა.

ასეთია მოკლედ ის საკითხები, რომლებსაც ეხებოდა „ნარკვევების“ ეს ნაკვეთი.

„ნარკვევების“ მესამე ტომში, რომელიც გამოიცა 1901 წელს, შესწავლილი იყო მე-13 — 18 საუკუნეთა ქართული მწერლობა.



აქ წმინდა ლიტერატურული ძეგლების განხილვას მოსდევდა ისტორიული, სასულიერო და იურიდიული ძეგლების დახასიათება. ალექსანდრე ხაზანაშვილი აქვე საგანგებო აღგილს უთმობდა უძველესი ნაბეჭდი ქართული წიგნებისა და პირველი ტიპოგრაფიების ისტორიის საკითხს, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ.

მესამე ნაკვეთი იწყებოდა მე-13 — 17 საუკუნეთა საქართველოს ისტორიას მიმოხილვით. ავტორს ეს ეპოქა კულტურული და პოლიტიკური დაცემულობის ეპოქად მიაჩნდა. და უაღრესად მძაფრი ფერებით ხატავდა. გამონაკლიაღ მიჩნეული იყო მარტოოდენ გიორგი ბრწყინვალის (1314 — 1346) ხანა.

ნაშრომში ნაჩვენები იყო, რომ ქართული მწერლობის ძეგლები მე-13 ს-დან მე-18 საუკუნემდე თუმცა რაოდენობრივად მრავლდებიან, მაგრამ არ გამოირჩევიან ორიკინალობითა და მხატვრული ღირებებით.

ალექსანდრე ხაზანაშვილს ამ ეპოქის ლიტერატურული ძეგლების უმრავლესობა. დაყოფილი ჰქონდა დიქტატურ-დამრიგებლურ და საზღაპრო ხასიათის ნაწარმოებებად. თუმცა კი, როგორც ავტორი ამბობდა, ამ ძეგლებში საოცრად და დაქვეითებული მხატვრული გემოვნება და ის ხელოვნებითი ბრწყინვალეობა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო ქართული მწერლობის წინა პერიოდისათვის.

ალექსანდრე ხაზანაშვილი საგანგებოდ შენიშნავდა, რომ მძიმე კულტურულ-პოლიტიკურ აწმყოში ამ პერიოდის ქართველები მანამდე არნახული ინტერესით დაეწაფნენ წარსულის შემეცნებას და მის შესახებ გულდასმით აკროვებდნენ ისტორიულსა და იურიდიულ ცნობებს.

მე-13 — 17 საუკუნეთა ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ მოცემული იყო უკვე ცალკეული ძეგლების დახასიათება.

ღიღი ადგილი ეთმობოდა ისეთი ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას, როგორიცაა „რუსუდანიანი“. ეს ძეგლი წარმოადგენს თორმეტი ზღაპრის კრებულს. ზღაპრები ხელოვნურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან იმ დიდაქტიკური აზრით,

რომ ყოველგვარ განსაცდელსა და მწუხარებას სიხარული მოჰყვება ხოლმე.

„რუსუდან-ანი“ შესაბამე ცნობილ მეცნიერთა შორის დიდი კამათი იყო ატეხილი. დავით ჩუბინაშვილი ამ ძეგლს ათარიღებდა მე-13 საუკუნით, მარი ბროსაჲ — მე-15 საუკუნით, ხოლო ნიკო მარს ეს თარიღი მე-17 საუკუნეში გადაჰქონდა. ალექსანდრე ხახანაშვილი თავის ნაშრომში იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ „რუსუდან-ანი“ არის მე-13 საუკუნის ძეგლი. ყოველ შემთხვევაში. ამტკიცებდა იგი. არ არსებობს რაიმე მყარი საფუძველი. რათა ამ ძეგლის თარიღი მე-13 საუკუნეზე გვიან გადავიტანოთ.

„რუსუდან-ანი“ შემდეგ უკვე საუბარი ეხებოდა ისეთ ძეგლებს, როგორცაა „ალღუზიანი“. „ლეილა და მეჯნუნი“, „სირინოზიანი“ და სხვა, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ქართველთა შორის.

ალექსანდრე ხახანაშვილი საგანგებოდ შენიშნავდა, რომ მე-17 საუკუნე ისტორიული თვალსაზრისით წარმოადგენდა ისეთ ხანას. როდესაც ქართულ ლიტერატურაში თანდათან ფეხი მოიკიდა ეროვნულმა მოტივმა. ამდროინდელი მწერლები უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ ზღაპრული ხანათის თქმულებათა თარგმნით სპარსულიდან, ანდა სარწმუნოებრივ-დამბრკებლური ნაწერების გადმოღებით ბერძნულიდან.

კერძოდ მე-17 საუკუნის საინტერესო ეპოქიდან ალექსანდრე ხახანაშვილს მიმოხილული ჰქონდა მეფე-პოეტების თეიმურაზ პირველისა და არჩილის შემოქმედება.

დიდი ადგილი ეთმობოდა მე-18 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიასაც.

ალექსანდრე ხახანაშვილის მიხედვით ამ ეპოქის ქართულმა ლიტერატურამ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია და ეს იყო „ვერცხლის“ ეპოქა. ამ პერიოდის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი და კულტურულად აღორძინებული იყო.

მე-18 საუკუნის ზოგადი დანახიათების შემდეგ „ნარკვევებში“ ვრცლად იყო განხილული ვახტანგ მეექვსის სახელმწიფოებრივი თუ სალიტერატურო და კანონმდებლობითი მოღვაწეობა.

კონკრეტული საკითხების გვერდით, ალექსანდრე ხახანაშვილი ვრცლად შენიშნავდა, რომ მე-18 საუკუნის ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული სიმძლავრით აედერდა ეროვნული მოტივი. ეს მოტივი იქცა მწერლობის განმსაზღვრელ მოვლენად. ამ ტენდენციით იყო გაელენთილი შემოქმედება ისეთი გამოჩენილი მოღვაწეებისა, როგორც იყვნენ: სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილები, დავით გურამიშვილი, ანტონ კათალიკოსი და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ მე-18 საუკუნისათვის რუსული სქოლასტიკური განათლების გავლენით ქართულ მწერლობაში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი მიმდინარეობა. დაიწყო თარგმნა ევროპელი მწერლებისა. თარგმნეს ვოლტერი, მონტესკიე. რასინი და სხვანი.

ამ პერიოდის ქართველებმა დიდი ყურადღება მიაქციეს იურიდიულ მეცნიერებებს და ამ დარგში ძვირფასი ძეგლები შექმნეს. ქართული მწერლობა გამდიდრდა ახალბადლი ორატორული ზასიათის ნიმუშებით, საერო თუ სასულიერო პირთა საინტერესო მოგზაურობათა აღწერილობებით და ბოლოს მოგზაურობითი და ისტორიული ხასიათის შემუარებით.

არანაკლებ შთამაგონებელი იყო პრობლემათა ის ფენა. რომელიც შეადგენდა „ნარკვევების“ მეოთხე წიგნის შინაარსს. ეს ნაკვეთი 1907 წელს გამოიცა.

მასში განხილული იყო მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა.

მთლიანი მასალის, ე. ი. გამოჩენილი ფიგურებისა თუ ლიტერატურული მიმდინარეობების თვალსაზრისით ეს პერიოდი ყველაზე მდიდარი იყო. ქართულმა მწერლობამ განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია ამ ხანაში. ამას, ერთი მხრით, ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა დასავლურ ცივილიზაციასთან, მეორე მხრით, კი, ქართული პუბლიცისტიკის აყვავება და განვითარება. ხოლო მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ამ აღმავლობაში უდიდესი როლი ითამაშა დემოკრატიულად განწყობილმა ქართულმა ინტელიგენციამ.

ალექსანდრე ხახანაშვილის მიხედვით მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ განვითარების სამი საფეხური განვლო.

პირველი საფეხური გრძელდებოდა სამოციან წლებამდე. ან დროისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობის უაქტო წარმოადგენდა ქართული გაზეთის გამოცემა სოლომონ ღოდაშვილის მიერ, მაგრამ ეს საქმიანობა ძალზე ნაადრევად შეწყდა.

ისტორიული განვითარების ამავე ეტაპზე მძლავრად აქლერდა ქართული პოეზია. ამ დროის გამოჩენილი პოეტები მთლიანად გამოსულნი იყვნენ არაატოკრატული ფენებზედანი. მათი ენა იყო მოქნილი და საოცრად პლატიკური. აღნიშნულ ეტაპზე ქართული მწერლობის დიდ მნათობებს წარმოადგენდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრაგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

რაც შეეხება მეორე ეტაპს, იგი სამოციანი წლებიდან ოთხმოცდაათიან წლებამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძისა და მიაი თანამედროვეთა ნაწერებში წმინდა ლირიულ და რომანტიკული აზროვნება რეალიზმით შეიცვალა.

ალექსანდრე ხახანაშვილი აღნიშნავდა: ამ დროისათვის ევროპული გზით წარიმართა ქართული ჟურნალისტიკა. 1852 წლიდან გამოჩენილი ღრამატურგის გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „ცისკარმა“. მალე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების არენაზე თანდათანობით გამოჩნდნენ ბექდვითი სიტყვით ახვა ორგანოები. განსაკუთრებით ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. დიდი როლი შეასრულეს. აგრეთვე, გაზეთებმა — „დროებამ“, „ივერიაიმ“, „ჩქედმა“, „შრომამ“ და სხვ.

„ცისკარის“ გამოჩენისთანავე ქართულ მწერლობაში თავისი არსებობა დაასრულა რომანტიკულმა სკოლამ და ადგილი დაუთმო რეალისტურ მიმდინარეობას. რომლის თავდაპირველი წარმომადგენლები იყვნენ გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვი. მათ მკაფიო ფერებით ასახეს თანადროული საზოგადოების ყოფა-ცხოვრება.

ალექსანდრე ხახანაშვილის მიხედვით ამავე რეალიზმმა გაშუქვალა ის ნაწერები, რომლებიც „ცისკარში“ გამოქვეყნდა პირველად. დანიელ კონქაძე და ლავრენტი არდაზიანი, პირველად თავისი „სურამის ციხით“, მეორე კი „სოლომონის რაქი მეჯღა-

ხუანვილით" -- წინ უსწრებდნენ იმ ვითარებას, როცა სამოცი-  
ანი წლებიდან ქართულ მწერლობაში საბოლოოდ დამკვიდრდა  
ალია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის რეალიზატური სკოლა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, შენიშნავდა ალექსანდრე ხა-  
ხანაშვილი. რომ ქართული მწერლობის ამ ეტაპზეც რომანტიზ-  
მი ჯერ კიდევ არ მიმქრალიყო საბოლოოდ და მისი გამოძახი-  
ლები კვლავ გაისმოდა გრიგოლ რჩეულიშვილის მოთარობებში  
აუ ალექსანდრე ორბელიანის ისტორიულ სურათებში.

ქართული ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაში  
უდიდესი როლი ითამაშა ახალგაზრდა მოღვაწეთა იმ პლეადამ.  
რომელმაც თავისი მოღვაწეობა 60-იან წლებში დაიწყო.

ამ თაობის დიდი მედროშე იყო ილია ჭავჭავაძე. უნიჭიერე-  
რი მწერალი. ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე. ამავე  
თაობას განეკუთვნებოდა აკაკი წერეთელი და ბოლოს მთელი  
პლეადა ნიჭიერი მოღვაწეებისა, რომლებმაც დიდი როლი ითა-  
შაშეს მე-19 ს. მეორე ნახევრისა და მე-20 ს. დამდეგს საქარ-  
თველოში ლიტერატურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი  
აზროვნების დაწინაურების საქმეში.

დასასრულ, ქართულ მწერლობაში სრულიად ახალი ეტაპი  
დაიწყო წარსული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ამ დროინდელ  
შემოქმედთა მხატვრულ აზროვნებაში რელიეფურად აისახა  
უკვე მარქსიზმის გავლენა. (ალექსანდრე ხახანაშვილი „მარქ-  
სიზმის“ ნაცვლად ხმარობდა ტერმინს „ეკონომიური მატერია-  
ლიზმი“).

ჩვენ საგანგებოდ ვცადეთ ალექსანდრე ხახანაშვილისეული  
„ნარკვევის“ ოთხივე ტომის მიმოხილვა და მიზნად დავისახეთ  
შეგვექმნა ერთგვარი წარმოდგენა იმ მრავალრიცხოვანი საკი-  
თხების შესახებ, რომლებიც ამ ნაშრომში იყო დამხული.

რა თქმა უნდა, ალექსანდრე ხახანაშვილის „ნარკვევებში“  
ქართული მწერლობის ისტორიის საკითხები არც სრულყოფი-  
ლად იყო განხილული და არც ამომწურავად, მაგრამ ისეთ პი-  
რობებში, როცა ეს ნაშრომი იწერებოდა, ამას თავისი გასასა-  
ძარტლებელი მიზეზები გააჩნდა.

მე-19 საუკუნის ბოლო ხანებში ჩვენი მეცნიერება ჯერ კი-  
დევ არ იცნობდა ძველი ქართული მწერლობის მრავალ ძეგლს.

უფრო მეტიც: ძალიან მცირე რიცხოვანი იყო ის სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევები, რომლებშიც მოცემული იყო იმხანად ცნობილი ძეგლების მეცნიერული და საფუძვლიანი ანალიზი.

ყოველივე ეს კი მეტრამეტად ართულებდა და თითქმის შეუძლებელს ხდიდა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის სისტემატურ-მიმოხილვითი უნაკლო მონოგრაფიის შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ხაჩანაშვილი შეჰანიშნავად აფასებდა იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ქართული მწერლობის შეწყველა. ამიტომაცაა, რომ „ნარკვევებში“ იგი არა ერთხელ აცხადებდა: ძველი ქართული მწერლობის შექამებითი თუ ერთიანი აურათის გამოსაცემად ჩვენ მიმოხილვა პირველი ცდაა. ამიტომაც იგი არც სრულია და არც დამაკმაყოფილებელია.

ალექსანდრე ხაჩანაშვილი მეცნიერულ ვულახდილობით აღნიშნავდა, რომ ძეგლების გამომხეურებისა თუ მათი კონკრეტული შეწყველისათვის მომავალში ჭერ კადევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. და სწორედ ეს განაპირობებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლებს ჩვენ ვუდგებით ჩან მრავალმხრივი ისტორიულ-ლიტერატურული თვალაზრისით, ხან კი -- მარტო მათი შინაარსის ვადმოცემითა და გარეგნული აღწერით ვკმაყოფილდებითო.

მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ „ნარკვევებში“ ალექსანდრე ხაჩანაშვილი ყველგან მისდევდა ამ პრინციპს.

მკითხველ საზოგადოებას იგი აცნობდა ლიტერატურულ ძეგლების შინაარსს, შეძლებისდაგვარად მსჯელობდა ამ ძეგლების წარმომავლობაზე და ცდილობდა მათი პარალელები და ძებნას სხვა ხალხთა მწერლობაში. ამასთანავე, ალექსანდრე ხაჩანაშვილი ცდილობდა კადმოეცა მხოლოდ ბელაწერებით და ცულ ნაწარმოებთა შინაარსი. გამოცემულ ძეგლთა დაბალითებისას კი იგი ძირითად ყურადღებას ამხვილებდა მათ ისტორიულ-ლიტერატურულ ანალიზზე.

ალექსანდრე ხაჩანაშვილის ამ უზარმაზარი მონოგრაფიის მართოდენ შინაარსობრივი გაცნობითაც კი მკითხველ მიზე-

ჯდება. თუ რა დიდი მიღწევა იყო ფილოლოგიური მეცნიერებ-  
ათვის „ნარკვევები“ გამოცემა.

აღავსო არაა, რომ თავისი დროისთვის ამ კაპიტალური  
პროგრესის შექმნა წარმოადგენდა შეძლებისდაგვარად გაბე-  
ჯულ და რაც მთავარია, სრული წარმატებით დაგვირგვინებულ  
კვლას. მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა ბაზაზე წარმოიხე-  
ნილი ყოფილიყო ქართული მწერლობის სრული ისტორიული  
აუკრთი. ამიტომაც, ყველა მის ღირსებას რომ თავი დაეხე-  
ბოთ, მარტოდენ ეს კვლაც კი უდიდესი მეცნიერული გამარჯ-  
ვება იყო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალექსანდრე ხახანაშვილის  
„ნარკვევებმა“ თავიდანვე დიდი პოპულარობა მოიპოვეს და  
კანსაკუთრებით ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში დიდი  
სამსახური ვაუჭრის ქართული მწერლობითა და კულტურით  
დაინტერესებულ პირებს. დასაბეჭდებული მონოგრაფიის ბაზა-  
ზე შემდგომ ხანებში ალექსანდრე ხახანაშვილმა დაწერა —  
„ქართული აბრევიატების ისტორია“ ახალი ორი ტომი, რომ-  
ელიც ქართულად გამოიცა.

პირველ ტომში (გამოიცა 1904 წელს) კანხილულა იყო ძვე-  
ლი ქართული მწერლობის ისტორია მე-19 საუკუნემდე, ხოლო  
მეორე ტომი, რომელიც მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტო-  
რიაა მოიცავდა. ავტორი, გარდაცვალების შემდეგ, 1917 წელს  
გამოქვეყნდა. ეს წიგნი დიდ ხანს წარმოადგენდა იმ ნაშრომს,  
რომლითაც ქართული ახალგაზრდობა მშობლიური მწერლობის-  
ა და კულტურის ისტორიას სწავლობდა.

როგორც ვთქვით, ალექსანდრე ხახანაშვილის „ნარკვევები“-  
თავიდანვე იწვევდა მეცნიერული საზოგადოები. დიდ ინტე-  
რესს.

„ნარკვევების“ თითოეული ახალი ნაკვეთის გამოჩენისთანა-  
ვე სიატემატურად ქვეყნდებოდა საქმიანი მეცნიერული რე-  
ცენზიები. მათი ავტორები ყოველთვის გულთბილად იხანებ-  
დნენ ალექსანდრე ხახანაშვილის ღვაწლს და ერთხმად მიუთი-  
თებდნენ მისი შემოქმედების დიდ ღირებულებაზე ქართული  
მწერლობისა და კულტურის შესწავლის დარგში.

ქერ კიდევ „ნარკვევების“ მეორე ნაკვეთის გამოცემასთან

დაკავშირებით. გამოხატავდა რა აზოგადობის ობიექტურ აზრს, გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი. რომელიც სიბარულოთ შეეგება ალექსანდრე ხახანაშვილის შესანიშნავ ნაშრომს, გულწრფელი აღფრთოვანებით წერდა: „ამ შემთხვევაში გაბედვით შემიძლია ვთქვა. რომ არც ერთს ქართველ მეცნიერს და მოღვაწეს იმდენი დამსახურება არ მიუძღვია ერის წინაშე, როგორც ალ. ხ. ხახანაშვილს. ამ ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა მთელი თავისი ნიჭი, ღონე და ძალა მოანდომა სამშობლოს გონების საუნჯის შესწავლას იმ განზრახვით, რომ შემდეგ უცხო ენაზე გამოექვეყნებინა მთელი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქართველოს ერისა და მთაი დამსახურება კაცობრიობის წინაშე. იმას ამით სურდა ევროპის ძლიერ ერთა შორის აღედრათანაგრძნობა და აიყვარული ჩვენი პატარა ერისადმი, რომელიც აქამდის დავიწყების ჩრდილქვეშ იყო მიმალული და უცხო ტომთა გამველ-გამომვლელი მეცნიერი მხოლოდ წიბლავდა მას, ველურ ბალხა ეძაბოდა და გონებითი აიცოცხლის უღირსად მოაჩნდა“.

ალექსანდრე ხახანაშვილის „ნარკვევებს“ დიდი მნიშვნელობის მეცნიერულ მოვხელად სთვლიდა გამოჩენილი ბრიტანელი ფილოლოგი რ. ი. მორფილი (1834 — 1909).

ამ ფართო დიაპაზონის მკვლევარმა, რომელმაც მრავალი ენა იცოდა, დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოს წარსულისადმი, რ. მორფილი ესტუმრა ჩვენს ქვეყანას. ახლო გაიცნო ილია ჭავჭავაძე და სხვა მოღვაწეები და საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა. შემდეგ მან ჩვენი ქვეყნის იატორიისა თუ მწერლობის საკითხებს რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა ქართველოლოგიის დარგში.

ახლა კი, 1901 წელს, „ნარკვევების“ მესამე ნაკვეთის გამოცემასთან დაკავშირებით, რ. მორფილმა კულთბილი წერილი მოათავსა ბრიტანეთის უდიდეს სამეცნირო ორგანოში „სამეფო სააზიო-საზოგადოების ჟურნალი“. მორფილი აღნიშნავდა, რომ ალექსანდრე ხახანაშვილის ნაშრომი დიდ დაბმარებას გაუწევდა არა მარტო სპეციალისტებს, არამედ საერთოდ ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებულ პირებსაც. ამას ბელს უწყობ-



და ის გარემოება. რომ „ნარკვევების“ ოთხივე ტომი გამოქვეყნებული იყო უცხოელებისთვის ხელმისაწვდომ რუსულ ენაზე.

ალექსანდრე ხახანაშვილის „ნარკვევებს“ ივლთბილი რეცენზიებით მიეგებნენ სხვა ავტორებიც, მაგრამ ყველას ჩამოთვლას ჩვენ მოვერიდებით, ვინაიდან უკვე დასახელებულ პირთა აზრიც კი სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად. თუ „ნარკვევების“ თვითეული ახალი ხავეჭათის გამოცემა როგორ ინტერესს იწვევდა სამეცნიერო საზოგადოებაში.

გარდა რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ამ შემაჯამებელი ნაშრომისა, ალექსანდრე ხახანაშვილი ავტორია მთელი რიგი გამოკვლევებისა, რომლებშიც განხილულია ფეოდალური ხანის ქართული მწერლობის ცალკეული საკითხები. მოცემულია ძეგლების ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზი და სხვ.

აღნიშნული გამოკვლევები წარმოადგენენ თავისებურ „შავ მასალას“. ბაზას, რაც შემდგომში საფუძვლად ედებოდა ჩვენ მიერ უკვე დახასიათებულ „ნარკვევებს“.

ფეოდალური ხანის ქართული მწერლობის ისტორიის საკითხების გვერდით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა აგრეთვე ალექსანდრე ხახანაშვილის ნაშრომები, მიძღვნილი ახალი ქართული ლიტერატურისადმი. ამ ნაშრომებს განეკუთვნებოდა ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობილი გამოკვლევები: ალექსანდრე ყაზბეგზე (1895), ილია ჭავჭავაძეზე (1896), ვახტანგ ორბელიანზე (1896), რაფიელ ერისთავზე (1897), ნიკოლოზ ბარათაშვილზე (1899) და დანიელ ჭონქაძეზე (1900).

ნაშრომების ამავე ჯგუფში იყო მოქცეული ალექსანდრე ხახანაშვილის სტატიებიც: „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა“, „რომანტიზმის წარმომადგენლები ახალ ქართულ ლიტერატურაში“, „აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობა“, „მესხიანიზმი ქართულსა და პოლონურ ლიტერატურაში“ და სხვა მრავალი.

თავისი დროისათვის ალექსანდრე ხახანაშვილის ეს ნაშრომები წარმოადგენდა ეროვნული მეცნიერების დიდ მონაპოვარს და ყოველმხრივ ემსახურებოდა ქართული ფილოლოგიის განვითარების საქმეს.

## უკანასკნელ ხანებში

ამ მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობაში შეუმჩნევლად გა-  
იზარდა ორმა ათეულმა წელმა. ისევ და ისევ ბევრი იყო გასა-  
კეთებელი.

ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან ალექსანდრე ხახანა-  
შვილს სურდა დაეწერა დიდი გამოკვლევა ქართული ბიბლიის  
ტექსტუალური წარმომავლობისა და განვითარების შესახებ.  
ამავე ხანებში მას დაებადა იდეა შეექმნა ქართული კულტუ-  
რის ვრცელი ისტორია, რომელიც უნდა ქცეულიყო მისი შე-  
მოქმედების თავისებურ ფანზოგადებად...

1910 წელს ალექსანდრე ხახანაშვილი უკანასკნელად ე-  
ტუმრა მშობლიურ მხარეს.

ამ დროს მისი ჭანმრთელობა უკვე შესამჩნევად იყო შერ-  
ყეული.

ნაცნობებს და მეგობრებს. რომლებთანაც იგი ზაფხულის  
დღეებს ატარებდა. აკვირვებდათ ალექსანდრეს გარეგნობა. ეს  
ანაღგაზრდა კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა  
გასაკეთებელი, საოცრად მოტეხილიყო. თვალში გეცემოდათ  
მისი სიფერმკრთალე.

მაგრამ დასვენების ნაცვლად ალექსანდრე ხახანაშვილი  
კვლავ განაგრძობდა დაძაბულ მუშაობას. მას წუთიც არ ემე-  
ტებოდა სხვა საქმისათვის. ასეთ პირობებში კი მისი ჭანმრთე-  
ლობა თანდათან უარესდებოდა.

1911 წელს, ჩვეულებისამებრ, ალექსანდრე ხახანაშვილი  
სამშობლოში ჩამოსასვლელად ემზადებოდა. ამ დროს მას გა-  
დაწყვეტილი ჰქონდა ივნისის დამდეგი ქ. სამარას მიდამოებ-  
ში, ყუმისის განთქმულ აგარაკზე გაეტარებინა. აქ იგი სამიოდე  
კვირას დარჩებოდა. შემდეგ კი საქართველოსაკენ გამოემგ-  
ზავებოდა.

შესანიშნავი ზაფხული იყო. აგარაკი სავსე იყო დამსვენებ-  
ლებით. მხიარულება სუფევდა ირგვლივ.

პირველ ხანებში სამარის ჰავამ და საუცხოვრო პირობებმა  
კარგად იმოქმედა ალექსანდრეს ჭანმრთელობაზე.

იგი აქ ხვდებოდა დასასვენებლად ჩამოსულ ქართველებ-

აკ. ამ უკანასკნელებმა სახელოვანმა მეცნიერის პატივსაცემად საგანგებო სადილიც კი მოაწყვეს.

მაგრამ ყუმისის სააგარაკო სიამოვნება ხანმოკლე აღმოჩნდა.

21 ივლისიდან ალექსანდრე ხახანაშვილს სისხლის ღებინება დააწყებინა.

მალე სიცხემაც აუწია.

მდგომარეობა უიმედო შეიქნა.

სხვებთან ერთად ამ მძიმე წუთებში ალექსანდრე ხახანაშვილს თავზე ადგა ცნობილი ქართველი ექიმი გ. ღამბარაშვილი. რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ავადმყოფს ოდნავ მაინც მოეხედა.

ოთხი დღის შემდეგ ალექსანდრე<sup>1</sup> ჯანმრთელობას გამოკეთება დაეტყო, თითქოს, სიცხემაც საგრძნობლად დაუწია. მაგრამ ნაშუადღევის ორ საათზე ალექსანდრე ხახანაშვილმა აამუდამოდ დახუჭა თვალები...

სიცოცხლის ბოლო წუთებში მომაკვდავმა მეცნიერმა ანდერძი უკარნახა თავის ექიმს და აქ აღბეჭდა უკანასკნელი სურვილები.

ანდერძია ძალით თავისი მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი — 45.000 მანეთი — ალექსანდრე ხახანაშვილმა შეწირა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

როგორც სათანადო ადგილს უკვე ვთქვით, მან გარკვეული თანხა დაუტოვა „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემაწავლელ საზოგადოებას“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი თვითონ იყო. და ბოლოს, ანდერძში ალექსანდრე ხახანაშვილი გამოთქვამდა სურვილს. რომ მისი კუთვნილი სახლი ქ. გორში მოხმარებოდა გორელი ახალგაზრდობის უფასო სწავლა-აღზრდის საქმეს.

გადმოგვცემენ, რომ სიკვდილის წინ გამოჩენილი მეცნიერი ტკბილად იფონებდა სამშობლოს და განსაკუთრებით ენანებოდა არყოფნა საქართველოში. რომელსაც შესწირა თავიერი ცხოვრების საუკეთესო დღენი და მგზნებარე ენერჯია.

„წამიყვანეთ სამშობლოში. ერთბელ კიდევ ჩამაყლაპეთ რისი ჰაერი“ — ასეთი იყო მისი საბოლოო ნატვრა.

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების ამბავი აწრავად მოედო მთელ საქართველოს.

გლოვობდა სამშობლო სახელოვანი შვილის უდროოდ დაკარგვას.

26 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და ქ. გორის მცაოვრებთა დელეგაცია კემართა დონის როსტოვში, რათა შეტვედროდა მიცვალებულის ცხედარს და საქართველოში გამოეცილებინათ...

იმ დღეებში ალექსანდრე ხახანაშვილს გარდაცვალების ამბავი ქართული პრესის ძირითადი ყურადღების საგანი იყო. პრავლად ქვეყნდებოდა წერალები, რომელთა ავტორები მოგვითბრობდნენ გარდაცვლილი ქართველი მეცნიერის ცხოვრება-მოდვაწიობისა და მისი უკანასკნელი დღეების შესახებ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თბილისიკაკენ მოდიოდა სამძიმრო უამრავი დეპეშა.

ღირსეული თანამემამულია გარდაცვალება მწუხარებით უწყებოდნენ რუსეთისა და ევროპის უმალეს საწავლებლებში მყოფი ქართველები.

ალექსანდრე ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებას კულწრფელად გლოვობდნენ რუსეთში მყოფი კოლეგები და ის სამეცნიერო საზოგადოებები, რომელთა მუშაობაშიაც დაუდალავად მონაწილეობდა ალექსანდრე ხახანაშვილი.

გარდაცვლილი მეცნიერის სანელზე სამგლოვიარო პანაშვიდებს იხდიდნენ ყველგან...

5 აგვისტოს ალექსანდრე ხახანაშვილის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიაში დაასვენეს.

სამგლოვიარო გვირგვინების მთელი გორა აღმართულოყო. ეკლესია ხალბა ველარ იტევდა.

შუადღის დამლევს ქაშვეთის ეკლესიიდან დაიძრა სამგლოვიარო პროცესია. ხალბის უზარმაზარი ნაკადი ჭერ გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროპექტზე გამომართა, მერე ვერის აღმართს ჩაუყვა და დიდუბის პანთეონისაკენ გაეშურა.

საზოგადოება თვალცრემლიანი ეთხოვებოდა ქართველ-მცოდნეობის გამოჩენილ მოქირანახულეს.

ამ დღეს საგანგებოდ ჩამოსულიყო აკაკი წერეთელი. სახელოვანი მგოსანი ახალი დაბრუნებული იყო რაჭა-ლეჩხუმიდან.

ალექსანდრე ზახანაშვილისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სიტყვაში აკაკი წერეთელმა თქვა:

„რაჭა-ლეჩხუმში ეროვნული ადფროთოვანების დროს, როცა ქართველობა ჩვეულებისამებრ ნეტარ-ხსენებულის გოგებაშვილის შესანდობარს სვამდა, თვალცრემლიანი, სწორედ იმ დროს დეპეშით გადმოგვცეს არა ნაკლებ სამწუხარო ამბავი, რომ ბ-ნი ა. ზახანაშვილი გარდაიცვალა უცხოეთშიო. ამან ყველას, განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა, თვალთ ცრემლი მოადინა. ლბინი ქირად გადაუქცია, დამეც მოვაშურე აქეთკენ. რომ დასაფლავებას დავსწრებოდრი და ერთხელ კიდევ ჩამებეჭდა უკანასკნელად გულში სახედიდი ქართველისა. იმას ბედმა არგუნა უცხოეთში ყოფნა, საიდანაც მთელი მისი ჭკუა-გონებით შექლებისდაგვარად ემსახურებოდა სამშობლოს, სდნებოდა სანთელივით მისი გული-სათვის და იმ შორიდან უნათებდა. და მარტო ეს რომ არ დააჯერა. შეზღუდა თავისი პირადი ცხოვრება იმ განზარხვით. რომ თავის ოფლითა და შრომით მონაგარი რამე დაეტოვებია ქართველობისათვის საშვილიშვილოდ. ამგვარად მკვდარი არ მოკვდება, სანამ ქართველობა არ მოისპობა. ამგვარ სიკვდილს უწოდებს „სახელოვანს“ რუსთველი“...

ალექსანდრე ზახანაშვილის დაკრძალვის წინ დიდუბის პანთეონში გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს სხვა ქართველმა მოღვაწეებმაც.

გამოჩენილი მეცნიერი დაკრძალეს დიდი ქართველი მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის გვერდით.

## კიდევ რამდენიმე სიტყვა

ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ.

რამდენი რამ შეიცვალა საქართველოს ცხოვრებაში.

მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად დღედად განვითარდა ქართველთმცოდნეობაც.

ძველი თაობის თითო-ორიოლა მგზნებარე ენთუზიასტის ნაცვლად ქართველი ხალხის კულტურასა და წარსულს დღეს უკვე მრავალრიცხოვანი სამეცნიერო დაწესებულებები იკვლევენ.

წინ დიდ პერსპექტივებზეა გადაშლილი.

მაგრამ რა დროც არ უნდა დაუდგეს ქართულ მეცნიერებას, იგი ყოველთვის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებს იმ მამულიშვილების სახელს, რომლებმაც თავიანთი უანგარო და კეთილშობილური საქმიანობით ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში საფუძველი ჩაუყარეს ეროვნულ მეცნიერებას.

ალექსანდრე ხახანაშვილიც ამ მეცნიერთა რიგში იდგა და მართალია, იგი ნაადრევად გამოაყლდა თანამედროვე მოღვაწეთა სახელოვან პლეადას. მაგრამ მისი შრომები უდიდეს განძად დარჩა ქართველი ხალხის კულტურულ ისტორიაში.

ამიტომაცაა, რომ შთამომავლობა ყოველთვის მადლობით მოიგონებს ასეთ მამულიშვილს და წამიერად თავს დაწრის მისი ხსოვნის პატივსაცემად.

თბილისი

1964 წ. იანვარი

## ს ა რ ნ ე ვ ი:

პირველი ნაბჯები	
მეცნიერების დიდ გზაზე	✓ 10
ქართველოლოგიის კიდევ ერთი გამარჯვება	15
ალექსანდრე ხახანაშვილი როგორც საზოგადო მოღვაწე	21
ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული ისტორიოგრაფია	25
ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული მწერლობის ისტორია	37
უკანასკნელ ხანებში	75
კიდევ რამდენიმე სიტყვა	79

რედაქტორი აკ. გაწერელია  
გამომცემლობის რედაქტორი თ. ბერიძე  
მხატვარი ვ. შლინარაძე  
მხატვრული რედაქტორი ზ. რაჭმაძე  
ტექნიკური რედაქტორი რ. იმნაიშვილი  
კორექტორი ც. ქარახანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/111-68 წ. ქალაქის ზომა 84 X 108<sup>1</sup>/<sub>3</sub> ვ. ნაბეჭდი თაბახი 4,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,39.

შეკვ. № 106

უე 00240

ტირაჟი 3000.

ფასი 20 კაპ.

გამომცემლობა «ლიტერატურა და ხელოვნება»  
პლესხანოვის 179. თბილისი № 8